ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

ორშაბათი, 22 მაისი, 2017 №119 (7354) ფასი: 50 თეთრი

საგარეჯოში არაბები მიწას ყიდულობენ და ოჯახებით სახლდებიან

გვ.4

18 მაისიდან

ოქროს ბიბლიოთეკა

თეოდორ დრაიზერი

ამერიკული ტრაგედია

ნაწილი 1

ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი

რა კავშირი აქვს ივანიშვილს უსუფაშვილისა და ეროვნული ფორუმის გაერთიანებასთან?

გვ.2

ანი მიროტაძე: „ქართულ ოცნებასთან“ თანამშრომლობა ვერ წარმომიდგენია“

მიხეილ რამიშვილი: „მამა გიორგის მეუფე დიმიტრის წინააღმდეგ ჩვენების მიცემას სთხოვდნენ“

გვ.5

ედიშერ ქარჩავა: „მამა გიორგი მამალაძე 50 მილიონი ევროს გათეთრებას აპირებდა“

სოსო შაჯბერაშვილი: „პუტინი მთელი საქართველოს ოკუპაციას მიწის ყიდვით შეძლებს“

გვ.3



ოთარ ანგურიძე: „დღეს საბანკო სექტორი თავის ნებაზეა მიშვებული“

გვ.6

ორთაჭალაში ბალერინამ დედა მოკლა

გვ.7

ISSN 1987-9385

რა კავშირი აქვს ივანიშვილს უსუფაშვილისა და ეროვნული ფორუმის გაერთიანებასთან?

შორენა მარსაგიშვილი

ანი მიროტაძე: „ქართულ ოცნებასთან“ თანამშრომლობა ვერ წარმომიდგენია“

გაერთიანდება თუ არა ოპოზიცია კიდევ ერთხელ, აქვს თუ არა კავშირი პარლამენტის ყოფილ თავმჯდომარესთან დაწყებულ მოლაპარაკებებთან ბიძინა ივანიშვილს, ითხოვდნენ თუ არა „ოცნებაში“ ეროვნული ფორუმიდან გუბაზ სანიკიძის გარიცხვას? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ანი მიროტაძე ესაუბრება.

– ეროვნული ფორუმისა და დავით უსუფაშვილის გაერთიანება თითქმის გადაწყვეტილი ამბავია. არის ასეთი ვერსია, რომ ამ გაერთიანების უკან ყოფილი პრემიერი ბიძინა ივანიშვილი დგას და ეს მისი პროექტია. რას იტყვით ამის შესახებ?

– ეს მითქმა-მოთქმა კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ საზოგადოებაში ახალი პოლიტიკური ძალის გამოჩენაზეა მოთხოვნილება. ეს გასაკვირი არ არის, რადგანაც „ქართული ოცნება“ ძალიან ემსგავსება ნაციონალურ მოძრაობას. დღეს ისინი ერთმანეთის საქმეს აკეთებენ – ნაციონალები „ოცნებას“ ხელისუფლების შენარჩუნებაში ეხმარებიან, ხელისუფლება კი ნაციონალებს მთავარ ოპოზიციად აღიარებს.

რაც შეეხება იმას, რომ ჩვენი გაერთიანების უკან შეიძლება ბიძინა ივანიშვილი იდგეს, ამ საკითხზე კომენტარის გაკეთებაც კი არასერიოზულია. ვინც იცნობს კახა შარტავასა და დავით უსუფაშვილს, მათ კარგად იცან, რომ ისინი არავის პროექტი არ იქნებიან. დიახ, ჩვენ ვცდილობთ ახალი ერთობის შექმნას და ეს არის პროექტი საქართველოსთვის.

– რატომ არის წარმოუდგენელი თქვენი თანამშრომლობა ივანიშვილთან? თავის დროზე ისიც, ფორუმიც და დავით უსუფაშვილიც ერთი გუნდი იყავით.

– თავის დროზე ვიყავით ერთად და ერთად დავიწყეთ დიდი საქმე, რომელიც ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ამიტომაც გავერთიანდით. მაშინ გაერთიანება საქართველოს მომავლისთვის მოხდა.

ჩვენ დღემდე დავრჩით ამ იდეის ერთგული. რამდენად დარჩნენ ამ იდეის ერთგული ბიძინა ივანიშვილი და „ქართული ოცნება“, ეს საზოგადოებამ განსაჯოს. ჩვენ ნამდვილად სხვანაირად ვუყურებთ ქვეყნის განვითარებას.

მე, პირადად, ძალიან არ მომწონს ის პროცესები, რომლებიც დღეს ქვეყანაში მიმდინარეობს – სასამართლო სისტემაში არსებული ვითარებით დაწყებული, არაფორმალური მმართველობით დამთავრებული. ჩვენ ამისთვის ნამდვილად არ გვიომია და დღესაც ვაგრძელებთ იმ გზას, რომელიც ქვეყანას სჭირდება.

– ამ გაერთიანებაში მხოლოდ დავით უსუფაშვილი, მისი თანამოაზრეები და ეროვნული ფორუმი იქნებით თუ სხვებსაც გაუღებთ კარს?

– ამასთან დაკავშირებით ახლა კონკრეტულად რამის თქმა გამიჭირდება. რასაც ჩვენ ვაკეთებთ, ეს არ არის მხოლოდ პარტიების გაერთიანება. ჩვენ უფრო სხვა მოცემულობა გვაქვს და, ვფიქრობთ, რომ ამ გაერთიანებაში, პოლიტიკოსების გარდა, ის ადამიანებიც უნდა ჩაერთონ, რომლებსაც ქვეყნის წინაშე მდგარ გამოწვევებთან გამკლავება შეუძლიათ. საბედნიეროდ, საქართველოში ასეთი ადამიანები მრავლად არიან.

სადღაც მაისის ბოლოსთვის გაირკვევა, ვინ შემოგვიერთდება და საერთოდ როგორ გაგრძელდება ეს ამბავი. აქვე შემიძლია გითხრათ, რომ ჩვენი მოძრაობის კარი არავისთვის დახურული არ არის.

ეს არ არის პოლიტიკური პარტია. ჩვენ სახელმწიფოს გადარჩენისთვის ვიწყებთ ბრძოლას. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ასე თუ გაგრძელდა, სახელმწიფო ინსტიტუტები სრულად ჩამოიშლება. ჩამოშლილ სახელმწიფო ინსტიტუტებს სადამდე შეუძლია ქვეყნის მიყვანა, მგონი, ყველა ხვდება.

– ამბობთ, რომ მაისის ბოლოსთვის რაღაცები გაირკვევა. ეს ნიშნავს თუ არა იმას, რომ სხვადასხვა პარტიასთან კონსულტაციები მიმდინარეობს?

– ჩვენ რამდენიმე პარტიასთან მართლაც ვიმყოფებით კონსულტაციების რეჟიმში. ამ პარტიების ვინაობას ჯერ ვერ გაგიმხელთ. პარტიების გარდა, კონკრეტულ პიროვნებებთანაც მიმდინარეობს მოლაპარაკებები. ვნახოთ, რა გამოგვივა, დაველოდოთ მაისის ბოლოს.

– თვითმმართველობის არჩევნებისთვის მოასწრებთ მომზადებას?

– ყველა პოლიტიკური ძალა აუცილებლად უნდა მონაწილეობდეს არჩევნებში. თუმცა ჩვენი გაერთიანების მიზეზი მოახლოებული თვითმმართველობის არჩევნები არ ყოფილა. ჩვენ ბევრად უფრო გრძელვადიანი და საჭირო საქმე დავიწყეთ.

აქვე გაგახსენებთ იმ განცხადებას, რომელიც ეროვნულმა ფორუმმა საპარლამენტო არჩევნების შემდეგ გააკეთა. არჩევნებიდან მეოთხე დღეს, 12 ოქტომბერს, ჩვენი პარტიის ლიდერი კახა შარტავა გამოვიდა და თქვა, გავაკეთოთ ერთი დიდი პროდასავლური გაერთიანება, რომელიც ქვეყნის წინაშე არსებული გამოწვევების გამკლავებაზე იქნება ორიენტირებული.

ის შედეგი, რომელიც საპარლამენტო არჩევნებზე დადგა, თავიდანვე ცხადყოფდა, რომ სახელმწიფო ინტერესებს დააზარალებდა. საკონსტიტუციო უმრავლესობასა და ხელისუფლების უზურპაციას არცერთი ქვეყნისთვის არ მოუტანია სიკეთე. ამ მხრივ არც საქართველოა გამონაკლისი და დღეს ჩვენ უკვე გვაქვს კრიზისი.

– ზემოთ ახსენეთ, რომ, პარტიების გარდა, კონკრეტულ პიროვნებებთანაც გაქვთ კონსულტაციები. არის თუ არა მათ რიგებში თავისუფალი დემოკრატებიდან წამოსული ირაკლი ალასანია? ის რამდენიმე კვირის წინ შეხვდა კიდევაც დავით უსუფაშვილს და ამას რაღაც მოჰყვა.

– უსუფაშვილმა თქვა, რომ ალასანიას შემთხვევით შეხვდა. რაც შეეხება ალასანიას, მან პოლიტიკაში ტაიმაუტი აიღო და ახლო მომავალში ამ სფეროში დაბრუნებას არ აპირებს. მომავალში არ ვიცი, რას იზამს. არც მისი გეგმების შესახებ მაქვს რაიმე ინფორმაცია. შესაბამისად, გამიჭირდება ამ კითხვაზე პასუხის გაცემა.

– ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ოპოზიცია შეიძლება გიორგი მარგველაშვილის გარშემო გაერთიანდეს. თქვენი გაერთიანება ითანამშრომლებს თუ არა პრეზიდენტთან?

– ეს მომავალში გაირკვევა. შესაძლოა, ჩვენი გზები გადაიკვეთოს და თემატური თანამშრომლობა შედგეს, მაგრამ ეს სამომავლო პროცესია. ამ ეტაპზე მასთან არანაირი კონსულტაციები არ მიმდინარეობს. ისე, ჩვენი კარი ყველა პროდასავლური ძალისთვის ღიაა. ვისთანაც პირადად მე თანამშრომლობა ვერ წარმომიდგენია, ეს არის „ქართული ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა.

– ნაციონალური მოძრაობა გასაგებია, მაგრამ „ოცნებასთან“ რატომ ვერ წარმოგიდგენიათ თანამშრომლობა?

– იმიტომ, რომ ქვეყნის მართვასთან დაკავშირებით ჩვენი ხედვები ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავდება. თავის დროზე ეროვნული ფორუმი იმიტომ წამოვიდა „ქართული ოცნების“ კოალიციიდან, რომ პარტნიორები ჩვენი გზის სისწორეში ვერ დავარწმუნეთ.

– „ოცნებიდან“ წამოსვლა ახსენეთ და მართალია, რომ მმართველმა გუნდმა ულტიმატუმი წაგიყენათ – გუბაზ სანიკიძე გაგეშვათ პარტიიდან და კოალიციაში დარჩებოდით?

– არანაირი ულტიმატუმი არ ყოფილა და, საერთოდ, ეროვნული ფორუმი არავის მითითებებითა და ულტიმატუმებით არ მოქმედებს, მით უმეტეს არ მივიღებთ ულტიმატუმს, თუ ის ჩვენს თანამებრძოლს ეხება. თავად ფორუმში თუ ვთვლით, რომ ესა თუ ის ადამიანი არ იმსახურებს პარტიაში ყოფნას, შესაძლოა, ის გავუშვათ, მაგრამ სხვისი მოთხოვნით ამას არავითარ შემთხვევაში არ გავაკეთებთ. არც გუბაზთან დაკავშირებით ყოფილა რაიმე მსგავსი მოთხოვნა.

– თუმცა ის პარტიიდან წავიდა.

– ეს მისი არჩევანი იყო. მან ჩათვალა, რომ იქ უფრო მეტს გააკეთებდა, სადაც ახლა არის. ჩვენ მის არჩევანს პატივს ვცემთ.

– მასთან რა ურთიერთობა გაქვთ ფორუმელებს?

– ჩვენ დღემდე მეგობრებად ვრჩებით. უბრალოდ, ის სხვა პარტიასთან ერთად აგრძელებს ბრძოლას, ჩვენ ჩვენი გზა გვაქვს და მიგვაჩნია, რომ ეს გზა სწორია.

დღეს საქართველოსთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია დიდი, ევროპული ტიპის გაერთიანების შექმნა, რომელიც, გარდა იმისა, რომ შიდა გამოწვევებს მოერევა, ყველაფერს გააკეთებს საიმისოდ, რომ საქართველომ მსოფლიო თანამეგობრობაში მკვეთრად დაიკავოს თავისი ადგილი და ეს ადგილი ევროპულ სივრცეშია.

– გახდება თუ არა თქვენი გაერთიანება მესამე ძალა?

– ძალების ასე დანომვრა არასწორად მიმაჩნია, იმიტომ, რომ არა მგონია, „ოცნება“ პირველი არჩევანი იყოს და ნაცმოძრაობა – მეორე. აქამდე საზოგადოებას ჰქონდა ორი არჩევანი – ცუდსა და უარესს შორის. ჩვენ გვინდა, რომ საზოგადოებას ჰქონდეს მესამე არჩევანიც. როცა არჩევანი ცუდს, უარესსა და კარგს შორის იქნება გასაკეთებელი, ხალხს გადაწყვეტილების მიღება აღარ გაუჭირდება.

ფედერიკა მოგერინი: „ევროკავშირი ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარების პოლიტიკის ერთგულია“

საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი იორდანიაში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში ევროკავშირის უმაღლეს წარმომადგენელს საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებში, ევროკომისიის ვიცეპრეზიდენტ ფედერიკა მოგერინის შეხვდა.

სამუშაო სადილზე საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესის, ქვეყანაში მიმდინარე რეფორმებისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტის შესახებ ისაუბრეს. პრემიერ-მინისტრმა იმედი გამოთქვა, რომ ნოემბერში ბრიუსელში დაგეგმილი სამიტი პრაქტიკულ შედეგებზე იქნება ორიენტირებული.

მთავრობის მეთაურმა ასევე აღნიშნა, რომ საქართველო განაგრძობს ასოცირების შეთანხმებისა და 2017-2020 წლების ასოცირების დღის წესრიგის ეფექტურ იმპლემენტაციას. ასევე, ისაუბრეს ვიზის ლიბერალიზაციის შემდგომ ნაბიჯებსა და ამ მიმართულებით საქართველოს პროგრესზე.

მხარეებმა ასევე ისაუბრეს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ ვითარებაზე. ფედერიკა მოგერინიმ კიდევ ერთხელ ხაზგასმით დაადასტურა ურყევი მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისადმი და აღნიშნა, რომ ევროკავშირი ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარების პოლიტიკის ერთგულია.

ინტერპრესნიუსი

საქართველოს თურქეთის პრემიერ-მინისტრი ეწვევა

საქართველოს ოფიციალური ვიზიტით თურქეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ბინალი ილდირიმი ეწვევა. როგორც ინტერპრესნიუსს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახურიდან აცნობეს, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში 23 მაისს გაიმართება ბინალი ილდირიმის დახვედრის ოფიციალური ცერემონია, რომლის დასრულების შემდეგ საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი თურქ კოლეგასთან პირისპირ შეხვედრას გამართავს.

შეხვედრის შემდეგ საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი და თურქეთის პრემიერ-მინისტრი ბინალი ილდირიმი მედიისთვის ერთობლივ განცხადებებს გააკეთებენ.

ინტერპრესნიუსი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

სოსო შატბერაშვილი: „პუტინი მთელი საქართველოს ოკუპაციას მიწის ყიდვით შეძლებს“

„მოვითხოვთ კონკრეტულ პასუხს მიწის საკითხზე“

მარიამ მჭედლიშვილი

მიმდინარე მოვლენებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა მემარცხენე ალიანსის გენერალურ მდივან სოსო შატბერაშვილს.

– ადრე იმედი გამოთქვით, რომ თუ ხალხი მოითხოვს, სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხოელებზე აკრძალვა ჩაიწერება კონსტიტუციაში. საკონსტიტუციო პროექტის განხილვა გრძელდება. ამჩნევთ, რომ საყოველთაო-სახალხო განხილვისას ხალხის აზრს ითვალისწინებენ?

– ასეთი შეხვედრებისას ხალხის აზრს მაინცდამაინც არ ითვალისწინებენ. ჩვეულებრივი მოქალაქეების პოზიცია გადამწყვეტია არჩევნების დროს. როცა არ მიხვალ არჩევნებზე, არ გააკეთებ არჩევანს, მერე გვიანაა თითზე კბენანი! ის ადამიანები, რომლებმაც უგულებელყვეს 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები, არაფერზე არ უნდა წუწუნებდნენ. კარგია, რომ აქტიურმა მოქალაქეებმა ამ განხილვების დროს დასვეს შეკითხვები იმაზე, უნდა მიეყიდოს თუ არა მშობლიური მიწა უცხოელს.

– ხელისუფლებისგან ამაზე ისევ ურთიერთგამომრიცხავი განმარტებები გვესმის.

– დიახ. ეკონომიკის მინისტრი ამბობს, რომ მიწა სარფიანად უნდა გაიყიდოს. საპირისპიროს აცხადებს პარლამენტის აგრარული კომიტეტის თავმჯდომარე ოთარ დანელია. ოთარ ჩრდილელი ფეისბუკიდან არწმუნებს საზოგადოებას, რომ მიწა არ გაიყიდება. ჩვენი პარტიის წარმომადგენლები ჩაებმებიან განხილვებში და ოფიციალურად მოითხოვენ კონკრეტულ პასუხს. სისხლით შენარჩუნებული მიწა არ არის ის პროდუქტი, რომელიც მომგებიანად უნდა გაასაღო! მის სარფიანად გაყიდვაზე საუბარიც კი აღმაშფოთებელია. ამ უთანხმოებას ხელისუფლებაში დაძლევს ჩვენი წინადადების გათვალისწინება.

– რეფერენდუმის ჩატარების შესახებ?

– დიახ. დაე, ხალხმა გადაწყვიტოს, უნდა თუ არა სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხოელებზე გაყიდვა. ცესკოში წინასწარ განხილვაზე ეკონომიკური დასაბუთებაც წარვადგინეთ. ჩვენი ინიციატივა მიზერულ დანახარჯს მოითხოვს, თუ რეფერენდუმი ადგილობრივი არჩევნების დროს ჩატარდა. 22 მაისს, 14 საათზე, ცესკოში ჩვენი წინადადების განხილვა იწყება.

– თუ ამ აკრძალვის კონსტიტუციაში შეტანა გადაწყდა, რეფერენდუმი საჭირო აღარ გახდება?

– თუ დავრწმუნდებით, რომ კონსტიტუციაში ეს ჩანაწერი ნამდვილად შეაქვთ, მაშინ რეფერენდუმის განაცხადს მოვხსნით.

– საზოგადოების ნაწილი, რომელიც მიწის დაცვის ჯგუფში გაერთიანდა, მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში მასობრივი შიმშილობის დაწყებას აპირებს.

– შიმშილობა პროტესტის უკიდურესი ფორმაა, მიწა კი – უმნიშვნელოვანესი საკითხი. ჩვენ გაცხადებული გვაქვს, რომ თუ საჭირო გახდა, აქციებს მივმართავთ. არ არის გამორიცხული, შიმშილობის აქციაშიც ჩავებათ. გრძელვადიან იჯარას არ ვეწინააღმდეგებით, სასოფლო-სამეურნეო მიწის გაყიდვის წინააღმდეგი ვართ. გაყიდვა იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერ მდიდარ უცხოელს, მათ შორის, არაკეთილმოსურნეს, შეუძლია, მთელი საქართველო იყიდოს. მაგალითად, პუტინი იყიდის მიწებს და მოახდენს მთელი საქართველოს ოკუპაციას. ტყუილად აქვთ იმის იმედი, რომ ლიბერალური კანონმდებლობით აგრარულ სექტორში ევროპული ინვესტიციები შემოვა. ჩვენს მიწებს დაეპატრონებიან რუსები, ირანელები, თურქები, ინდოელები.

– საზოგადოების ნაწილი მოითხოვს, კონსტიტუციაში ჩაიდოს შრომითი უფლებების დაცვის გარანტიები.

– შრომის უფლება ნებისმიერ კონსტიტუციაშია ნახსენები. მთავარია, შრომა, დასაქმებულის უსაფრთხოება დაცული იყოს. მე-18 საუკუნეში ინგლისში მაღაროებში ბავშვებს ამუშავებდნენ. ამიტომ გახდა აუცილებელი შრომითი ინსპექციის შექმნა. ეფექტური შრომითი ინსპექცია ჩვენც გვჭირდება.

– იმ ჯგუფს, რომელიც ამ საკითხებს აყენებდა, პარლამენტის თავმჯდომარემ კომუნისტები უწოდა. თქვენც მემარცხენეები ხართ და შეიძლება, თქვენც დაგარქვან ბოლშევიკები და მარქსისტები.

– კომუნისტურ წარსულს არავინ მისტირის, მაგრამ სიტყვა „კომუნისტი“ სალანძღავი არ არის. გვინდა თუ არა, ხელოვნებასა და მეცნიერებაში მაშინ მიაღწია საქართველომ დიდ მწვერვალებს. კომუნისტებმა დაამარცხეს ფაშიზმი. დღეს ბევრი პრობლემის წინაშე ვართ, მათ შორის, არც ხელოვნებას ეწყობა ხელი, მეცნიერება განადგურების პირას არის. მარქსისტებს არ გვეძახიან, მაგრამ სხვა იარლიყებს ჩვენც გვაწებებენ. როგორც კი ვიტყვით, რომ დეოკუპაციის მიზნით რუსეთს უნდა დაველაპარაკოთ, იმ წუთას კრემლის აგენტები ვხდებით.

– ითვლება, რომ რუსეთთან დალაპარაკებას აზრი არ აქვს.

– აბა, ჩვენს ტერიტორიულ მთლიანობაზე კვიპროსს, შრი ლანკასა და ბურკინა ფასოს ველაპარაკოთ? ჩვენი ტერიტორიები რუსეთის ხელშია, ამიტომ დიალოგი მასთან უნდა გავმართოთ. ამაზე არგუმენტირებულ პასუხს რომ ვერ გვცემენ, ამიტომ გვიგონებენ იარლიყებს.

საქართველოს მხარდაჭერით ტრამპმა ნაურუ არჩევანის წინაშე დააყენა

გავლენიანი ამერიკული გამოცემა „დიპლომატის“ მიერ გამოქვეყნებული სტატია ეხება საერთაშორისო ურთიერთობებში არსებულ პოლიტიკურ ინტრიგებს, დიპლომატიურ თამაშებს, რომლებშიც ზოგიერთი სახელმწიფოა ჩართული, მაგალითად, ამა თუ იმ ახლად „გაჩენილი“ ქვეყნის სუვერენიტეტის აღიარების საკითხში. პუბლიკაციაში აღწერილია „დამოუკიდებლობის აღიარებით ვაჭრობის“ ფაქტები, მოცემულია ამგვარი პოლიტიკის მიზეზები და შედეგები. საინფორმაციო სააგენტო ნიუსპრესი გთავაზობთ სტატიის შინაარსს.

◆ ◆ ◆

„დამოუკიდებლობის აღიარების“ თამაშში წყნარი ოკეანის ჯუჯა სახელმწიფოები მრავალი ათწლეულის განმავლობაში არიან ჩართულნი. აბა, რა ექნათ? მოსახლეობის მცირე რაოდენობამ, ბუნებრივი რესურსების სიმწირემ, გეოგრაფიული უპირატესობის არქონამ კუნძულები საერთაშორისო ურთიერთობებში სუვერენიტეტის აღიარებით ვაჭრობაზე აიძულა. ეს იყო ის ბერკეტი, რომელსაც ისინი სხვა სახელმწიფოების მიმართ იყენებდნენ, მათთვის სასურველი ქვეყნის აღიარების საკითხში, რის შედეგადაც ჯუჯა სახელმწიფოები მათგან გარკვეულ დახმარებას იღებდნენ.

ამგვარი თამაშის ძირითადი მიზანია ჩინეთი. 1970-იანი წლებიდან მოყოლებული, ორი ჩინეთი არსებობს – ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა (დედაქალაქი – პეკინი) და ჩინეთის რესპუბლიკა – ტაივანი (დედაქალაქი ტაიბეი). ორივე მათგანი აცხადებდა, რომ მხოლოდ ის წარმოადგენდა ჭეშმარიტ ჩინეთს და ცდილობდნენ აღიარების მიღწევას საერთაშორისო არენაზე. წყნარი ოკეანის სახელმწიფოები ამ სიტუაციას სათავისოდ იყენებდნენ და საკმაოდ დინამიურადაც სარგებლობდნენ.

ასეთი ვითარება დღემდე გრძელდება: კირიბატი, სოლომონის კუნძულები, მარშალის კუნძულები, პალაუ, ტუვალუ კანონიერ, ჭეშმარიტ ჩინურ სახელმწიფოდ მხოლოდ ტაივანს აღიარებენ, რომელიც, თავის მხრივ, ფინანსურად ეხმარება ამღიარებლებს. ტაივანის სუვერენიტეტის ამღიარებლებს გულში იმედი აქვთ, რომ ტაიბეის დიპლომატიური კონკურენტი – პეკინი მათ მეტ ფულს მისცემთ და ამიტომ, შეთავაზების შემთხვევაში, მზად არიან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მხარეს დადგნენ.

ამას წინათ ჩინეთმა (პეკინმა) და ტაივანმა (ტაიბეიმ) საერთაშორისო აღიარების ლობირების საკითხში დროებითი ზავი დადეს. მათი დაზავება ბოლო წლებში მომხდარმა გახმაურებულმა დიპლომატიურმა ფარსმა გამოიწვია: 1999 წელს პაპუა-ახალმა გვინეამ ტაივანის დამოუკიდებლობა აღიარა, მისგან 30 მილიონი დოლარი მიიღო, მაგრამ რადგანაც ვერავინ გაარკვია, თუ სად გაქრა ფული, 2008 წელს პაპუასების საგარეო საქმეთა მინისტრი იძულებული გახდა, გადამდგარიყო. 2016 წელს პეკინმა დიპლომატიურ-ფინანსური შეტევა განახორციელა და თავის მხარეზე გადაიბირა ორი აფრიკული სახელმწიფო – ერთი გამბია, მეორე – სან-ტომე და პრინსიპი, რომლებიც ადრე ტაივანს აღიარებდნენ.

ორ ჩინეთთან დაკავშირებული დიპლომატიური თამაშების გარდა, ბოლო ათწლეულში წყნარი ოკეანის სახელმწიფოებს ახალი მსგავსი შანსი გაუჩნდათ.

2008 წლის აგვისტოში მომხდარი რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად ორმა სეპარატისტულმა რეგიონმა – აფხაზეთმა და სამხრეთ ოსეთმა დამოუკიდებლობა გამოაცხადეს. საქართველო მათ თავის ტერიტორიებად თვლის, რომლებიც რუსეთის მიერაა ოკუპირებული.

აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს მხარს რუსეთი უჭერს: მოსკოვმა ორივე დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარა და მათ ლეგიტიმაციას საერთაშორისო არენაზეც ცდილობს. რუსეთთან მჭიდრო კავშირების წყალობით ვენესუელამ და ნიკარაგუამ სოხუმი და ცხინვალი 2008 წლის ომის დასრულების შემდეგ ცოტა ხანში აღიარეს, მათ 2009 წლის ბოლოს ნაურუც შეუერთდა, რომელსაც რუსეთმა 9 მილიონი დოლარი აჩუქა ნავსადგურის მოდერნიზებისთვის.

დაინახეს რა ხელის მოთბობის ახალი შესაძლებლობა, ვანუატუმ და ტუვალუმ ნაურუს მიბაძეს და 2011 წელს მათ საქართველოს სეპარატისტულ რეგიონებთან – აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარეს, თუმცაღა აღიარება დიდხანს არ გაგრძელებულა: ვანუატუმ 2013 წელს, ტუვალუმ კი 2014 წელს აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება გააუქმეს და დიპლომატიური ურთიერთობა საქართველოსთან დაამყარეს.

ნაურუ ჯერჯერობით თავის პოზიციაზე სტაბილურად დგას და იმედი აქვს, რომ რუსეთი ფინანსურად კიდევ დაეხმარება. სხვათა შორის, ნაურუ რუსული მაფიის „შავი ფულის“ „გათეთრების“ ცენტრად ითვლება, რაც ავსტრალიის ბანკების აღშფოთებას იწვევს. ალბათ, ნაურუ ამ გარემოებითაც სარგებლობს, რომ რუსეთის მეშვეობით თავი დაიცვას და ავსტრალიასთან ერთგვარი ბალანსი დაამყაროს. მაგრამ ბოლო მოვლენები მოწმობს, რომ ნაურუსთვის ცუდი პერიოდი დგება.

როგორც ჩანს, კუნძულმა თავისი ძალები ვერ გათვალა და დიპლომატიურ თამაშებში გადააჭარბა: ამას წინათ, საქართველოს პრემიერ-მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის ვაშინგტონში ვიზიტის დღეებში, აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ხელი მოაწერა საბიუჯეტო კანონს, რომელშიც აღნიშნულია, რომ საქართველოს რეგიონები – აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი – რუსეთის მიერაა ოკუპირებული. აქედან გამომდინარე, ამერიკის მთავრობას და სამთავრობო ფონდებსა ეკრძალებათ დახმარების გაწევა იმ სახელმწიფოებისათვის, რომლებიც აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას აღიარებენ.

აღნიშნული აქტი ძირითადად ნიკარაგუისა და ვენესუელის წინააღმდეგაა მიმართული, მაგრამ ნეგატიური გავლენას მოახდენს ნაურუზეც – მას ფინანსური ინექციები შეუწყდება. აშშ მნიშვნელოვნად აფინანსებს მსოფლიო ბანკს, საერთაშორისო სავალუტო ფონდს, გაეროს ბავშვთა ფონდს, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციას, რომლებიც, თავის მხრივ, ნაურუს სხვადასხვა დარგს ფულით ეხმარებიან.

ვაშინგტონს შესაძლებლობა აქვს, ზეწოლა მოახდინოს აზიის განვითარების ბანკზეც, რომელიც ნაურუში ბევრ პროექტს ახორციელებს. ეს ყველაფერი კი იმას ნიშნავს, რომ ნაურუ არჩევანის წინაშე დგება: ან დიპლომატიური ურთიერთობა უნდა გაწყვიტოს აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთთან, მათი დამოუკიდებლობის აღიარების აქტი გააუქმოს, ან აშშ-სგან დახმარების მიღება შეუწყდება და რუსეთის იმედზე დარჩება.

აშკარაა, რომ, ძველი სტატუს-კვოს შენარჩუნების შემთხვევაში, ნაურუს საერთაშორისო იზოლაცია ემუქრება. თუმცა, არც ის არის გამორიცხული, რომ კუნძულმა რუსეთთან ინტეგრირება გააძლიეროს.

ავსტრალია, რომელსაც, რასაკვირველია, ნაურუზე რუსეთის გავლენის შეწყვეტა სურს, ალბათ, იმედოვნებს, რომ ამერიკა ოთხივე ქვეყანას და მათ შორის ნაურუსაც იძულებულს გახდის, უარი თქვან აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთის აღიარებაზე. თუ ეს ტაქტიკა გაამართლებს და წარმატებული იქნება, მაშინ გარკვეული დროის შემდეგ ნაურუსა და მისი მსგავსი ქვეყნების დიპლომატიური თამაშები დასრულდება.

ირაკლი კობახიძე ვენეციის კომისიის მდივანს საკონსტიტუციო ცვლილებებს გააცნობს

– საკონსტიტუციო ცვლილებებზე 22-23 მაისს ბერლინში, კონფერენციაზე იმსჯელებენ, – ამის შესახებ ინტერპრესნიუსს პარლამენტიდან აცნობეს.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე ვენეციის კომისიის მდივან თომას მარკერტსა და ექსპერტებს, კონსტიტუციონალისტებსა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს კონსტიტუციურ კანონის პროექტს გააცნობს.

კონფერენციას მისასალმებელი სიტყვით ირაკლი კობახიძე, გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის სამხრეთ კავკასიის დეპარტამენტის უფროსი დირკ შატშნაიდერი, გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის დეპარტამენტის უფროსი მიხაელ ზიბერტი და ბონდის უნივერსიტეტის პროფესორი ვოლფგანგ ბაბეკი გახსნიან. გაიმართება დისკუსიაც.

კონფერენციას, რომელიც გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების მხარდაჭერით იმართება, საქართველოს პარლამენტის წევრები – თამარ ჩუგოშვილი, მამუკა მდინარაძე, გიორგი კახიანი, გიორგი ლომია, სალომე სამადაშვილი, ზურაბ ჭიაბერაშვილი, პრეზიდენტის ადმინისტრაციის, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და ექსპერტები დაესწრებიან.

ინტერპრესნიუსი

საგარეჯოში არაბები მიწას ყიდულობენ და ოჯახებით სახლდებიან

გულიკო ბალაძე

ბოლო დროს ქართული მიწების გაყიდვაზე ორი მიმართულებით მიმდინარეობს ბრძოლა. ერთი მხრივ, იბრძვიან, კონსტიტუციაში ჩაიწეროს, რომ ქართული მიწა არ გაიყიდება, მეორე მხრივ, პრაქტიკაში, სანამ კონსტიტუციით ან სპეციალური ორგანული კანონით (როგორც „ოცნების“ წარმომადგენლები აცხადებენ) დარეგულირდება მიწის საკითხი, საჭიროა, კონსტიტუციის ან ორგანული კანონის მიღებამდე კვლავ მორატორიუმი გამოცხადდეს უცხოელებისთვის საქართველოში მიწის გასხვისებაზე.

მიწის უცხოელებზე გასხვისების პროცესის გამო აღელვებული საზოგადოების გასაგონად პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ოთარ დანელიამ განაცხადა, რომ საქართველოს მთავრობას მომზადებული აქვს კანონპროექტი, რომელიც უცხოელებზე მიწის გასხვისებას მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში ითვალისწინებს.

კერძოდ, მიწის უცხოელებზე გასხვისება შესაძლებელი იქნება, თუ უცხოელი ინვესტორი დიდ ინვესტიციას შემოიტანს. თუმცა, ინვესტიციის ოდენობა არ სახელდება.

– ჩვენი ვერსიით, უცხოელებზე ქართული მიწა არ გასხვისდება. ერთადერთი პრეროგატივა მთავრობას უნდა ჰქონდეს. გამონაკლისი შემთხვევა ინდივიდუალურად განიხილება. შეძენის მსურველებს მოუწევთ შესაბამისი არგუმენტაციისა და პროექტის წარმოდგენა, რასაც უნდა ახლდეს ძალიან დიდი ინვესტიცია, დასაქმება, ახალი ტექნოლოგიები ანუ დიდი მასშტაბის მქონე პროექტი უნდა იყოს, რომელიც განიხილება გამონაკლისის სახით, – განაცხადა ოთარ დანელიამ.

სანამ ეს საკითხი ოფიციალურ დონეზე გადაწყდება, მიწები უკვე ნაწილ-ნაწილ გამალებული იყიდება და ამას ხელს არავინ უშლის.

პირიქით, რაღაც სახით, ნებსით თუ უნებლიეთ, ხელისუფლება ხელშემწყობიც კი გამოდის, რომ უცხოელმა საქართველოში მიწა შეიძინოს, როცა უცხოელისთვის ბინადრობის უფლების მოსაპოვებლად 35 ათასი დოლარის ქონების შეძენას აწესებს.

კერძოდ, უცხოელებს, 35 ათასი დოლარის ქონების შესყიდვის სანაცვლოდ, ბინადრობის უფლების მოპოვებას ჰპირდებიან.

35 ათასი დოლარის ქონების ნასყიდობის დოკუმენტის წარდგენისთანავე განიხილება შუამდგომლობა პირისა და მისი ოჯახის წევრებისთვის ბინადრობის უფლების გაცემის თაობაზე.

ფაქტობრივად, 35 ათასი დოლარი არის ზეპირი დათქმა იმისა, რომ, ამ საფასურის ქონების შეძენის შემთხვევაში, უცხო ქვეყნის მოქალაქეებს მიეცემათ საქართველოს მოქალაქეობა და მიწის შესყიდვისა და საქართველოში გადმოსახლების უფლება, რაც სრულდება კიდეც.

35 ათასი დოლარის ქონების შესყიდვაში შედის სახლ-კარი, საკარმიდამო მიწის ნაკვეთი და სახნავ-სათესი ფართობები, რომლებიც ახლავს ამ სახლ-კარს.

ამიტომ საქართველოში მიწის დაუფლებისა და საცხოვრებლად ოჯახით გადმობარგებული უცხოელები, ძირითადად არაბები, მასობრივად ეუფლებიან მიწის ნაკვეთებს. შემდეგ მათ მიერ დაუფლებულ მიწის ფართობებს ყოფენ ცალკეულ ნაკვეთებად და ახალ-ახალ არაბ ოჯახებს ასახლებენ საქართველოს მიწაზე. მიმდინარეობს უცხოტომელების ტოტალური გადმოსახლება საქართველოში.

35 ათას დოლარად ქონების შესყიდვისა და მოქალაქეობის მიღების ფაქტებზე ოპოზიციის წარმომადგენლები ხშირად საუბრობენ. პარლამენტის ყოფილმა წევრმა დიმიტრი ლორთქიფანიძემ საგარეჯოს რაიონის მკვიდრ ბესო კოჭლამაზაშვილთან დაგვაკავშირა. ის არის მოწმე იმისა, თუ როგორ შეიძინა მის მეზობლად სახლ-კარი არაბმა, გაარემონტა და ახლა ცოლ-შვილი გადმოჰყავს.

ბესო კოჭლამაზაშვილი აცხადებს, რომ არაბებმა საგარეჯოს რაიონის რამდენიმე სოფელში უკვე შეისყიდეს სახლ-კარი და საკარმიდამო ნაკვეთები და მასობრივად ფუძნდებიან მათი რაიონის მიწებზე.

– ბატონო ბესო, თქვენ აცხადებთ, რომ საგარეჯოში ქართული მიწები იყიდება და მასზე უცხოელები სახლდებიან. რა პროცესი მიდის საგარეჯოში, რა გაძლევთ ამის თქმის საშუალებას?

– არაბებმა თვითონ საგარეჯოში, სადგურთან, სოფლებში ნინოწმინდასა და ხაშმში შეიძინეს სახლები. კომპანია ჰყავთ დაქირავებული, რომელიც მათ შუამავლობს.

– სახლებს როგორ ყიდულობენ?

– სახლებს 18-20-25 ათას დოლარად იძენენ, შემდეგ არემონტებენ და ცხოვრობენ. ყიდულობენ სახლ-კარსა და მიწის ნაკვეთებს.

– თქვენ რომელ სოფელში ცხოვრობთ?

– მე თვითონ საგარეჯოში ვცხოვრობ.

– სახლ-კარს რამდენი მიწის ფართობი ახლავს?

– თითოეულს დაახლოებით 200-2500 კვმ ვენახი და სხვა მიწის ფართობები ახლავს.

– თვითონ საგარეჯოელები მიწას რატომ ყიდიან?

– არ ვიცი. გაჭირვებულები არიან და ყიდიან. სახლ-კარსა და მიწას ყიდიან, პატარა ფასში ბინას ყიდულობენ და იქ ცხოვრობენ.

– უცხოელები ოჯახებით არიან ჩამოსული?

– დიახ, ოჯახებით არიან ჩამოსული. თვითონ რომ ჩამოდიან, არემონტებენ შეძენილ სახლებს და შემდეგ ჩამოჰყავთ ოჯახი. სხვა ოჯახებიც მოჰყავთ.

– კონკრეტულად, რომელი ქვეყნებიდან სახლდებიან?

– ვიცი, რომ არაბები არიან.

– ადგილობრივი ხელისუფლება ამ საკითხში ჩარეულია? ან ხომ არ მოსულან და უნახავთ?

– არავინ ყურადღებას არ აქცევს. საერთოდ, ამ პროცესით არავინ დაინტერესებულა. როგორ შეიძლება, ასეთი რამ ხდებოდეს. ცოტა ხანში ქართული მიწის ერთი გოჯიც აღარ შეგვრჩება. ასეთი რამ როგორ შეიძლება.

ლევან დავითაშვილი: „სახელმწიფო სტიქიის შედეგად დაზარალებულ გლეხებს არ და ვერ დაეხმარება“

– სახელმწიფო სტიქიის შედეგად დაზარალებულ გლეხებს არ და ვერ დაეხმარება.

ეს განცხადება სოფლის მეურნეობის მინისტრმა გააკეთა. ლევან დავითაშვილის თქმით, ზარალი მილიონობით ლარს აღემატება, რომლის ანაზღაურების ფუფუნება სახელმწიფო ბიუჯეტს არ აქვს.

– სახელმწიფო სტიქიის შედეგად დაზარალებულ გლეხებს არ და ვერ დაეხმარება. არ უნდა იყოს ცრუ მოლოდინები, არ იქნება არანაირი კომპენსაცია. მაშინ, როდესაც აგროდაზღვევის ინსტრუმენტი მოქმედებს, ასეთი ერთჯერადი ჩარევები არასამართლიანია. ზარალი მილიონობით არის, მისი ანაზღაურების ფუფუნება ბიუჯეტს არ აქვს. საჭიროა სოფლის მეურნეობის ძირითად საშუალებებში ჩაიდოს ინვესტიციები სექტორის გასაძლიერებლად და არა ერთჯერადი დახმარებები“, – განაცხადა ლევან დავითაშვილმა.

სოფლის მეურნეობის მინისტრი გლეხებს მოუწოდებს, აგროდაზღვევის სერვისით ისარგებლონ.

პირველი რადიო

ლევან ბერძენიშვილი: „რესპუბლიკური პარტია კულინარიაში ნებისმიერ პარტიას გამოიწვევს და დაამარცხებს“

რესპუბლიკურმა პარტიამ პარტიის ცენტრალურ ოფისში 39 წლის იუბილე აღნიშნა. პარტიის ლიდერებმა 1978 წლის 21 მაისს პარტიის იატაკქვეშ დაფუძნების ისტორია და შემდგომი საქმიანობა გაიხსენეს, მიწვეულ სტუმრებს კი საკუთარი ხელით დამზადებული კერძებით გაუმასპინძლდნენ.

– ეს არის პარტია, რომელმაც ქვეყნის ისტორიის ყველა წარმატებასა და ქარტეხილში მიიღო მონაწილეობა. ჩვენ ვარსებობთ, ვაგრძელებთ აქტიურობას, ვიზრდებით და გვემატება მხარდამჭერები. დღეს პარტიაში ბევრი ახალი ადამიანია მოსული, ყველა დამარცხების შემდეგ, რაც „რესპუბლიკურ პარტიას“ ჰქონდა, შემდგომი არჩევნებისთვის ახალი ძალებითა და ენერგიით ვემზადებით. წელსაც სწორედ ასეთი წელია, – განაცხადა პარტიის თავმჯდომარე ხათუნა სამნიძემ.

რესპუბლიკელთა ერთ-ერთი ლიდერის, ლევან ბერძენიშვილის თქმით, რესპუბლიკური პარტიის საარჩევნო პროცენტების მიუხედავად, პარტია არსებობას განაგრძობს და იზრდება მის მიმართ ინტერესი ახალგაზრდა თაობის მხრიდან.

ბერძენიშვილმა პარტიის იუბილეზე მისულ სტუმრებს წარუდგინა საკუთარი ხელით დამზადებული კერძი, სახელწოდებით „პატიმრის ოცნება“ და როგორც განმარტა, მასში გამოყენებულია ყველა ის ინგრედიენტი, რაზეც პატიმრები ოცნებობენ.

ბერძენიშვილმა ვრცლად ისაუბრა კულინარიასა და კულინარიის გავლენაზე. მისი თქმით, არსად ადამიანს იმდენი შემოქმედებითი უნარი არ გამოუვლენია და არსად ქართველებს ისეთი დიდი წარმატება არ ჰქონია, როგორც კულინარიაში.

– რესპუბლიკური პარტია შეიძლება პროცენტებში მაგარი ვერ იყოს, მაგრამ კულინარიაში ნებისმიერ პარტიას გამოიწვევს და დაამარცხებს, – აღნიშნა ბერძენიშვილმა.

ინტერპრესნიუსი

ზალბერთან დაკავშირებულ სკანდალს ცხინვალის საგარეო უწყება ეხმაურება

ევროკავშირის სპეციალურ წარმომადგენელთან სამხრეთ კავკასიასა და საქართველოს კრიზისების საკითხებში, ჟენევის მოლაპარაკებების თანათავმჯდომარე ჰერბერტ ზალბერთან დაკავშირებულ სკანდალს ოკუპირებული ცხინვალის ხელისუფლება ეხმაურება. დეფაქტო საგარეო უწყება განცხადებას ავრცელებს, რომელშიც აღნიშნულია, რომ გაოცებასა და იმედგაცრუებას იწვევს საქართველოს პოლიტიკა ე.წ. სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით.

– ბატონი ზალბერის მიერ გამოვლენილი დიპლომატიური თავაზიანობა საქართველოში აღიქვეს, როგორც ევროპული კავშირისგან მისი ინტერესების ღალატი. გასაგებია, რომ საქართველოში გაჩაღებული ეს ისტერიკა ემსახურება კონკრეტულ პოლიტიკურ მიზნებს. საქართველოს ხელმძღვანელობა შესაშური სიჯიუტით ახდენს კატეგორიულ მიუღებლობას შექმნილ გეოპოლიტიკურ რეალობასთან დაკავშირებით და ბოლომდე ცდილობს მოეჭიდოს პროპაგანდისტულ პროექტს, სახელწოდებით – „საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია“.

საქართველოში აშკარად ბოროტად იყენებენ საერთაშორისო არენაზე მისი ინტერესების უპირობო მხარდაჭერის მოთხოვნებს, მათ შორის შუამავალთა მხრიდანაც, რომლებმაც უნდა დაიკავონ ნეიტრალური პოზიცია ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების პროცესში. ოფიციალური თბილისის ქცევა საკმარისია იმისთვის, რომ საერთაშორისო საზოგადოებას ჩამოუყალიბდეს ობიექტური აზრი სამხრეთ ოსეთთან კონსტრუქციული დიალოგის შესახებ მისი შესაძლებლობის ხარისხზე. ჟენევის დისკუსიის ქართველი მონაწილეების ასეთი განწყობა დიდი ხნის განმავლობაში ძირითადი დაბრკოლებაა ძალის გამოუყენებლობის შესახებ დოკუმენტის შემუშავებასა და მიღების გზაზე, – ნათქვამია დეფაქტო უწყების განცხადებაში.

ინტერპრესნიუსი

2016 წლის ბიუჯეტში 215 მილიონიდან 100 მილიონამდე ლარი გაუხარჯავი დარჩა

რეგიონის საკანონმდებლო ორგანოში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2016 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიურ მიმოხილვას კამათი მოჰყვა. ამის მიზეზი ბიუჯეტში დარჩენილი გაუხარჯავი თანხები გახდა.

როგორც ნაციონალური მოძრაობის დეპუტატმა ელგუჯა ბაგრატიონმა განაცხადა, 2016 წლის ბიუჯეტში 215 მილიონიდან 100 მილიონამდე ლარი გაუხარჯავი დარჩა. ოპოზიციის წარმომადგენლები ამბობენ, რომ აღნიშნული თანხით აჭარაში სოციალურად დაუცველებისა და ეკომიგრანტების პრობლემების მოგვარება შეიძლებოდა.

ნაციონალური მოძრაობის დეპუტატ ელგუჯა ბაგრატიონს რეპლიკების გამო, აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის დავით გაბაიძის გადაწყვეტილებით, სხდომაზე კითხვის დასმის უფლება აეკრძალა.

– აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი რამაზ ბოლქვაძე მოსახლეობის შეცდომაში შეყვანას შეეცადა. 215 მილიონიდან 100 მილიონამდე თანხა გაუხარჯავი დარჩა, რომელსაც თავადაც აღიარებს. რეგიონში უამრავი ეკომიგრანტი და სოციალურად დაუცველია, – აღნიშნა ელგუჯა ბაგრატიონმა.

აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის რამაზ ბოლქვაძის თქმით, რესპუბლიკური ბიუჯეტი 2016 წელს 102,5% შესრულდა. როგორც მინისტრი ამბობს, ბათუმში სამომავლოდ სტადიონისა და ნაგავსაყრელის მშენებლობის საკითხი პრიორიტეტია.

– 2016 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტი 102, 5 %-ით შესრულდა. ეს არ ნიშნავს იმას, რომ პროექტები დარჩა და არ შესრულდა. სტადიონისა და ნაგავსაყრელის მშენებლობის საკითხი ჩვენი პრიორიტეტია და აქტიური მუშაობა მიმდინარეობს. სექტემბერში უკვე შერჩეული იქნება კომპანია, რომელიც ნაგავსაყრელის მშენებლობას დაიწყებს, – აღნიშნა რამაზ ბოლქვაძემ.

ამ დროისთვის აჭარის უმაღლეს საბჭოში დეპუტატები დღის წესრიგით გათვალისწინებულ ექვს საკითხს განიხილავენ.

მიხეილ რამიშვილი: „მამა გიორგის მეუფე დიმიტრის წინააღმდეგ ჩვენების მიცემას სთხოვდნენ“

შორენა მარსაგიშვილი

ციანიდის საქმის განხილვა 30 მაისს გაგრძელდება.

30 მაისამდე ამ საქმეში, შესაძლოა, კიდევ რამდენიმე ახალი დეტალი გაჩნდეს. 19 მაისის სხდომაზე პროკურატურამ გვამცნო, რომ საქმეში არსებობდა მტკიცებულებები, რომლებიც ინტიმურ დეტალებს შეიცავდა.

ერს ამ თემაზე ვიშვიში ხეირიანად დამთავრებული არ ჰქონდა, რომ საპატრიარქოს ადვოკატმა ახალი სკანდალური ინფორმაცია გააჟღერა. ედიშერ ქარჩავას მტკიცებით, მამა გიორგი მამალაძე ფულის გათეთრებას აპირებდა.

50 მილიონი ევროს სკანდალი

მას შემდეგ, რაც ციანიდის სკანდალი აგორდა, ვიცოდით, რომ მამა გიორგი მამალაძემ ციანიდის შესაძენად ფული ისესხა. თუმცა, თუ საპატრიარქოს იურისტს დავუჯერებთ, დეკანოზს მილიონობით ევროსთან ჰქონია საქმე.

ედიშერ ქარჩავას ინფორმაციით, მამა გიორგი მამალაძე ეკლესიის სახელით ესპანეთიდან საქართველოში 50 მილიონი ევროს უკანონო ტრანზაქციას აპირებდა. ამის შესახებ განცხადება იურისტმა „განსხვავებულ აქცენტებში“ გააკეთა.

საპატრიარქოს იურისტის თქმით, მილიონობით ევრო საპატრიარქოს სახელით უნდა გათეთრებულიყო. ქარჩავა ამბობს, რომ ეს ქმედება სახელმწიფოს წინააღმდეგაც იყო მიმართული.

– საინტერესოა, საიდან ჰქონდა ესპანეთში გახსნილი კომპანია მღვდელს, რომელსაც სამეწარმეო საქმიანობის უფლება არ აქვს. არ შეიძლება, მღვდელი ბიზნესმენი იყოს. ბიზნესმენი მღვდელი, ასეთი გაგება არ არსებობს. კანონიკური სამართლის ნორმებითაც ეს დაუშვებელია.

50 მილიონი ევროს ტრანზაქცია უნდა განხორციელებულიყო. ვსაუბრობ ბოლო პერიოდზე. უკანონო ფულის ტრანზაქცია უნდა განხორციელებულიყო. ამ შემთხვევაში თავმჯდომარე იყო მამა გიორგი მამალაძე და ეს უკანონო ფული უნდა გათეთრებულიყო და ეკლესია უნდა გამოყენებულიყო. საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგაც კი იყო გარკვეული ქმედება მიმართული. არსებობს მტკიცებულებები, არსებობს ხელშეკრულება, სადაც მამალაძე აწერს ხელს, – განაცხადა ქარჩავამ.

ბუნებრივია, იბადება კითხვა, აქამდე რატომ არ იყო ცნობილი ამ ფაქტის შესახებ? პროკურატურამ დეკანოზის სახლსა და სამუშაო ადგილებში ჩხრეკა ჯერ კიდევ თებერვალში ჩაატარა და სხვადასხვა სახის დოკუმენტაცია ამოიღო. ედიშერ ქარჩავა ვარაუდობს, რომ მამაოს უკან ვიღაც დგას, დაგვიანებულ აღმოჩენას კი ასე ხსნის:

– არსებობს ხელშეკრულება ერთ-ერთ პირთან, რომელიც ახლა, ბოლოს, შემთხვევით აღმოჩნდა... ამ უკანონო ფულის, 50 მილიონი ევროს ტრანზაქცია უნდა განეხორციელებინა რაღაც კომპანიის მეშვეობით, რომლის თავმჯდომარეც თვითონ არის მამაო და დაფუძნებულია ესპანეთში. მის ზურგს უკან რომ ვიღაც ჯგუფი დგას, ეს არის ფაქტი.

საპატრიარქოს იურისტის განმარტებითვე, ამის დამადასტურებელი მტკიცებულებები საპატრიარქოში აღმოჩნდა.

რაც შეეხება ტრანზაქციას, ეს, ქარჩავას თქმით, დეკანოზს უკრაინის მოქალაქეების მეშვეობით უნდა განეხორციელებინა.

ედიშერ ქარჩავას განცხადებას აბსურდულს უწოდებს მამა გიორგი მამალაძის ერთ-ერთი ადვოკატი მიხეილ რამიშვილი.

– კიდევ კარგი, მამაოს ასაკი არ უწყობს ხელს, თორემ კენედის მკვლელობასაც მას დააბრალებდნენ, – აცხადებს „ახალ თაობასთან“ საუბარში რამიშვილი.

ადვოკატის თქმით, ციანიდის საქმე ნელნელა აბსურდის თეატრს ემსგავსება. რამიშვილი მიიჩნევს, რომ ედიშერ ქარჩავას განცხადებები საპატრიარქოს იმიჯზე ძალიან ცუდად იმოქმედებს.

– ყოველთვე რაღაც ახალს იგონებენ. ახლა ეს 50 მილიონი ევროს გათეთრება მოიგონეს. საინტერესოა, რას მოიფიქრებენ შემდეგ ჯერზე. გარდა იმისა, რომ ამით მამაოს სახელის გატეხას ცდილობენ, საპატრიარქოსაც ულახავენ იმიჯს. ეს კი საპატრიარქოს იურისტის ინტერესებში არ უნდა იყოს, – ამბობს რამიშვილი.

მთელი ის პერიოდი იმაზეც საუბრობდნენ, რომ მამა გიორგი მამალაძე პატრიარქთან დაახლოებული პირი იყო და მასთან ხშირად ჰქონდა კონტაქტი. ამაზე ხაზგასმა განსაკუთრებით მაშინ მოხდა, როცა დეკანოზის ცნობილი წერილის შესახებ გასაჯაროვდა ინფორმაცია.

ჩვენს მკითხველს, ალბათ, ახსოვს დეკანოზის მიერ ილია II-სთვის მიწერილი წერილი, სადაც ის სერიოზულ დარღვევებზე საუბრობს. გავრცელებული ინფორმაციით, თავის დროზე შორენა თეთრუაშვილი სწორედ ამის გამო დაუპირისპირდა მას.

მაშინ საპატრიარქოს წარმომადგენლები ამბობდნენ, რომ დეკანოზს ახლო ურთიერთობა ჰქონდა პატრიარქთან და მას წერილის გარეშეც შეეძლო, მისთვის სათქმელი ეთქვა.

საპატრიარქოს იურისტი ედიშერ ქარჩავა კი ამტკიცებს, რომ მამა გიორგი პატრიარქთან დაახლოებული არ ყოფილა.

– მამა გიორგი მამალაძეს პატრიარქთან ახლო ურთიერთობა არ ჰქონია, სულ 3 თვე მუშაობდა. ისიც, თუ ვინმესთან შედიოდა... დაცვის უფროსის მეშვეობით შედიოდა პატრიარქთან. სხვა არანაირი ისეთი...

მე 10 წელია, ვმუშაობ საპატრიარქოში და საერთოდ არ ვიცნობდი ამ პიროვნებას. ის, რომ ახლოს იყო, სიმართლე არ არის, – განაცხადა ედიშერ ქარჩავამ.

საპირისპიროს ამტკიცებს დეკანოზის ძმა მალხაზ მამალაძე. შაბათის კურიერთან საუბარში მან განაცხადა, რომ მისი ძმა პატრიარქთან ძალიან დიდ დროს ატარებდა. მალხაზ მამალაძე მიიჩნევს, რომ დეკანოზის პატრიარქთან სიახლოვე ვიღაცას არ მოსწონდა. ის არ გამორიცხავს, რომ ასეთი შურიანი ხალხი საპატრიარქოშიც ყოფილიყო.

– ისეთი ახლო ურთიერთობა ჰქონდა პატრიარქთან, ჯერ პატრიარქი იყო მისთვის, იყო ეკლესია და მეორე პლანზე იყო მისი ოჯახი. უმეტეს პერიოდს პატრიარქთან ატარებდა. ძალიან ბევრი სასულიერო პირია თბილისში, თუნდაც მცხეთაში, აღმოსავლეთში და აქედან არ წაიყვანდა და არ დანიშნავდა ასეთ მაღალ თანამდებობაზე...

ეს იმაზე მიუთითებს, რამდენად ახლო ურთიერთობა ჰქონდა და რამდენად ნდობით აღჭურვილი პირი იყო მისთვის. დარწმუნებული ვარ, ძალიან ბევრი ადამიანი იქნება, რომლებსაც მამაოს ასეთი წარმატება არ უხაროდათ. შეიძლება, ასეთი ადამიანები საპატრიარქოშიც იყვნენ, – განაცხადა მალხაზ მამალაძემ.

ზეწოლა და თანამშრომლობის შეთავაზება

პროკურატურის განცხადებას, რომ საქმეში არსებული მასალები ინტიმურ დეტალებს შეიცავს, დეკანოზის ადვოკატები შანტაჟს უწოდებენ.

ამ მოსაზრებას იზიარებს დეკანოზის ძმა მალხაზ მამალაძეც. ის, ადვოკატების მსგავსად, ფიქრობს, რომ პროკურატურა მამაოზე ზეწოლის განხორციელებას ცდილობს.

მალხაზ მამალაძის თქმით, პროკურატურა მამა გიორგი მამალაძისგან თანამზრახველებად ბათუმისა და ლაზეთის მიტროპოლიტის მეუფე დიმიტრისა და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის პირადი დაცვის ყოფილი ხელმძღვანელის სოსო ოხანაშვილის დასახელებას ითხოვდა.

– ეგონათ, რომ მაგითაც შეაშინებდნენ და გატეხდნენ და ა.შ. მაგრამ მამაოს არაფრის ეშინია. მამაო არის მომხრე, იყოს ღია სასამართლო, იყოს საზოგადოებისთვის ცნობილი ყველა ის მტკიცებულება, რომლებიც კი არსებობს. მაგიტომ არის პირდაპირი შანტაჟი, რომ ვითომდა ის დაჯგუფება იყო და მარტო არ მოქმედებდა.

როგორ უნდა დაასახელოს, როცა არ არსებობს არაფერი. უდანაშაულო ადამიანმა როგორ უნდა აღიაროს ან ვინმეს რატომ, როგორ დაადებს ხელს, რაცა თვითონ უდანაშაულო ზის ახლა და უდანაშაულო ადამიანებს დაადოს ხელი?!

სოსო ოხანაშვილისა და მეუფე დიმიტრის წინააღმდეგ ითხოვდნენ ჩვენების მიცემას, ვითომდა ერთად მოქმედებდნენ. უფრო რაღაცაზე მიმდინარეობს ბრძოლა, ვიდრე რაღაც საქმეზე. ალბათ, ბრძოლა პატრიარქობაზე მიმდინარეობს, – აღნიშნა დეკანოზის ძმამ.

მამა გიორგისგან რომ ასეთი ჩვენების მიცემას ითხოვდნენ, ამას ადვოკატი მიხეილ რამიშვილიც ადასტურებს.

– პროკურატურა ძალიან უნიჭოდ ცდილობს მამაოზე ზეწოლის განხორციელებას. ინტიმური დეტალებიც ამიტომ გააჩინეს საქმეში. ამბობენ, რომ საქმე მესამე პირს ეხება. როცა რაღაცაზე ადამიანებს შორის კერძო საუბარი მიმდინარეობს, იქ მესამე კი არა, შეიძლება, მეათე პირზეც იყოს საუბარი. ეს არ ნიშნავს, რომ ინტიმურ დეტალებთან გვაქვს საქმე.

მამაო ამბობს, რომ მას დასამალი არაფერი აქვს და ამ მტკიცებულებების გასაჯაროებას ითხოვს. პროკურატურა მტკიცებულებების გასაჯაროებაზე უარს ამბობს, ამის გარდა, სასამართლოს დახურვაც უნდა. ამას მხოლოდ იმიტომ აკეთებს, რომ არანაირი მტკიცებულება არა აქვთ, – ამბობს „ახალ თაობასთან“ საუბარში რამიშვილი.

ადვოკატის თქმით, მისი დაცვის ქვეშ მყოფს დაკავებიდან ძალიან მალე შესთავაზეს საპროცესოს გაფორმება. ამის სანაცვლოდ მათი ერთი პირობა უნდა შეესრულებინა.

ეს პირობა, ადვოკატის თქმით, ასეთი იყო:

– მამაოს მეუფე დიმიტრისა და სოსო ოხანაშვილის წინააღმდეგ უნდა მიეცა ჩვენება, უნდა ეთქვა, რომ მათი დავალებით მოქმედებდა. ამას თუ იტყოდა, საპროცესოს გაუფორმებდნენ.

ვინ დაიცავს მამა გიორგის უფლებებს

19 მაისს გამართულ სასამართლო სხდომაზე უცნაური ამბავი მოხდა. მას შემდეგ, რაც სასამართლომ პროკურატურის შუამდგომლობა დააკმაყოფილა და სხდომა დახურა, დეკანოზმა გიორგი მამალაძემ სხდომა დატოვა. მან თავის ადვოკატებს სთხოვა, იგივე გაეკეთებინათ.

სხდომა ადვოკატებმაც დატოვეს. ამის შემდეგ მოსამართლე ბესიკ ბუგიანიშვილმა მიიღო განჩინება, სადაც აღნიშნულია, რომ ადვოკატები გაძევებულ იქნენ დარბაზიდან, რის გამოც შემდეგი სხდომიდან ბრალდებულს სახაზინო ადვოკატი დაიცავს.

ამ განჩინების გასაჩივრებას ადვოკატები 22 მაისს აპირებენ. რატომ იყო ეს განჩინება უკანონო და რატომ დაივიწყა მოსამართლემ დეკანოზის მეოთხე ადვოკატი? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ მიხეილ რამიშვილი ესაუბრება.

მიხეილ რამიშვილი:

– მოსამართლემ მიიღო განჩინება, რომლის მიხედვითაც, ჩვენ გამოძევებულად ჩაგვთვალა. სასამართლოს სხდომა მამაოს მოთხოვნით დავტოვეთ და საინტერესოა, რატომ ვითვლებით გაძევებულებად. თუ სხდომაზე ვიყავით, მაშინ რატომ გამოგვაძევა?! ჩვენ წესრიგი არ დაგვირღვევია.

როცა მოსამართლეს ასეთი განკარგულება გამოაქვს, მან უნდა გააფრთხილოს ადვოკატი. ჩვენ არავის გავუფრთხილებივართ. განკარგულებაში არც ის არის მითითებული, რა დავარღვიეთ. იქ მხოლოდ წერია, რომ წესრიგი დავარღვიეთ. რა დავარღვიეთ, ამაზე ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი. ამას აუცილებლად გავასაჩივრებთ.

ედიშერ ქარჩავა: „მამა გიორგი მამალაძე 50 მილიონი ევროს გათეთრებას აპირებდა“

გარდა ამისა, წესრიგი თუ დავარღვიეთ, მოსამართლეს თავისუფლად შეეძლო, დავეჯარიმებინეთ, მაგრამ მან გაძევებულებად ჩაგვთვალა. ალბათ, ესეც იყო მათი მიზანი.

– მოსამართლის განჩინებით, მამა გიორგის სახაზინო ადვოკატი დაიცავს. ამაზე რას იტყვით?

– ჯერ ნაადრევია იმის თქმა, რომ მამაოს სახაზინო ადვოკატი დაიცავს. ჩვენ მოსამართლის განკარგულებას გავასაჩივრებთ და, ესეც რომ არ იყოს, ყველას უნდა ახსოვდეს, რომ დეკანოზს, ჩვენ გარდა, კიდევ ერთი ადვოკატი, ეკატერინე ლომიძე ჰყავს. ის წინასასამართლო სხდომასაც ესწრებოდა. მოსამართლე, ეტყობა, საქმეში კარგად არ არის ჩახედული და ორდერიც არ უნახავს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მას უნდა სცოდნოდა, რომ მამაოს კიდევ ერთი ადვოკატი იცავს, რომელიც იმ დღეს სხდომაზე არ იმყოფებოდა.

– რატომ არ დაესწრო სასამართლოს მეოთხე ადვოკატი?

– ქალბატონ ეკატერინეს ოპერაცია აქვს ახალი გაკეთებული და სასამართლოზე საპატიო მიზეზით ვერ მოვიდა. მეოთხე ადვოკატის არსებობას ხაზს იმიტომ ვუსვამ, რომ აქედანაც ნათლად ჩანს, რა დამოკიდებულებაა საქმის მიმართ.

ამის გარდა, მოსამართლის მხრიდან ადგილი აქვს კანონდარღვევას. ადამიანს ჰყავს მეოთხე ადვოკატი და შენ სახაზინოს უნიშნავ.

– მამა გიორგი დათანხმდება სახაზინო ადვოკატს?

– გამორიცხულია. რაიმე გაუთვალისწინებელი თუ არ მოხდა, ის ისევ კერძო ადვოკატს დაიქირავებს. მე დღემდე ვრჩები მის ადვოკატად და ვაგრძელებ მის დაცვას.

– პროკურატურა ამბობს, რომ ადვოკატები დროის გაჭიანურებას ცდილობთ და სხდომის დატოვებასაც ამის გამოვლინებად თვლის.

– ჩვენ სხდომა მამა გიორგის თხოვნით დავტოვეთ. მამა გიორგიმ პროტესტი იმის გამო გამოხატა, რომ სასამართლო დაცვის მხარის შუამდგომლობებს არ ითვალისწინებდა, პროკურატურას კი ყველა მოთხოვნას უკმაყოფილებდა. ასე იყო წინასასამართლო სხდომებზეც. ასე გაგრძელდა 19 მაისსაც და მამაომ პროტესტი გამოხატა.

პროკურატურის მოთხოვნების გათვალისწინება არის მიზანმიმართული ქმედება. არც ისაა შემთხვევითი, პროკურატურა შანტაჟზე რომ გადავიდა.

– შანტაჟში რას გულისხმობთ?

– პროკურატურამ თქვა, რომ მტკიცებულებებში არსებობს ინტიმური სახის მასალები და თურმე ამის გამო ითხოვენ სასამართლოს დახურვას. პროკურატურა ყველაფერს აკეთებს, რომ ეს სხდომა დახურულ რეჟიმში წარიმართოს. არანაირი ინტიმური სახის მასალა მაგათ არა აქვთ. ამის გარდა, მამაო ამბობს, რომ მას დასამალი არაფერი აქვს. აქედან გამომდინარე, ის ღია სხდომას ითხოვს. მან სწორედ ამიტომ თქვა უარი, რომ სახელმწიფოს მისი ოჯახის წევრები დაეცვა.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ადამიანზე 24-საათიანი თვალთვალი ჰქონდათ დანესებული და დღემდე ვერ დაადგინეს, ვისგან შეიძინა მამაომ ციანიდი. არც სხვა არგუმენტები უვარგათ. ამიტომ უნდათ, რომ სხდომები სრულად იყოს დახურული. თუ მართლა არსებობს მესამე პირების პირადი ინფორმაცია, მაშინ ნაწილობრივ დახურვა მოეთხოვათ და ნაწილობრივ დახურულიყო და არა – მთლიანად.

ოთარ ანგურიძე: „დღეს საბანკო სექტორი თავის ნებაზეა მიშვებული“

ნათია ხურცილავა

ეკონომიკის ექსპერტი ოთარ ანგურიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ლარის კურსის გამყარების მიზეზებზე საუბრობს.

– ბატონო ოთარ, რამ განაპირობა ლარის კურსის გამყარება?

– ლარის გამყარება განაპირობა პირველ რიგში იმან, რომ ქვეყანაში მაკროეკონომიკური მაჩვენებლები გაუმჯობესებულია. მაგალითად, საგარეო ვაჭრობის მიმართულებით 30%-იანი ზრდა ფიქსირდება, იმპორტის ნაწილში 40% ზრდაა. გაზრდილია ტურისტების რაოდენობა, რაც, ბუნებრივია, ხელს უწყობს უცხოური ვალუტის შემოდინებას ქვეყანაში. ასევე გაზრდილია ინვესტიციები, რაც დაკავშირებულია უცხოური ვალუტის შემოსვლასთან. ეს ყველაფერი ერთიან ასახვას ჰპოვებს ეროვნული ვალუტის გამყარების ტენდენციებზე.

– რამდენად გაგრძელდება ლარის გამყარების ტენდენცია? წინ ზაფხულია და, ტურისტული სეზონის გათვალისწინებით, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეროვნული ვალუტის გამყარებას საფრთხე არ ემუქრება?

– რომ ვნახოთ, ამ ხუთი თვის სტატისტიკა ამ მიმართულებით როგორ ვითარდება, პრაქტიკულად ვნახავთ, რომ ჩვენ გვაქვს თითოეულ თვეში მზარდი სტატისტიკური მაჩვენებლები. ამ ხუთი თვის განმავლობაში ნამდვილად გვაქვს გაუმჯობესება. როგორც წესი, ზაფხულში უცხოური ვალუტის შემოდინება უფრო მეტად ხდება, ასევე, როგორც თქვენ აღნიშნეთ, ტურისტების ნაწილი ზაფხულში უფრო გააქტიურებულია, უფრო შემოდიან ქვეყანაში. ეს, ბუნებრივია, ეროვნული ვალუტის გამყარებას ხელს უწყობს. ვფიქრობ, ზაფხულის პერიოდში კიდევ უფრო გაგრძელდება უცხოური ვალუტის შემოდინების მზარდი სტატისტიკა, თუმცა, ვერ ვიტყვი, რომ ეს აუცილებლად ხელს შეუწყობს ლარის კურსის გამყარებას.

– რატომ?

– ორი ფაქტორი მოქმედებს ძირითადად ლარის კურსზე: ერთი, უცხოური ვალუტის შემოდინება, უცხოური წყარო და მეორე, ეროვნული ბანკის პოლიტიკა.

– როგორია დღეს ეროვნული ბანკის პოლიტიკა ამ მიმართულებით?

– ძალიან რთულია დღეს ეროვნული ბანკის პოლიტიკასთან დაკავშირებით პროგნოზის გაკეთება. თუ ეს ორი ფაქტორი დაემთხვევა ერთმანეთს, მაშინ ლარის კურის გამყარდება, თუ არ დაემთხვევა, მაშინ ლარის კურსის პროგნოზირება ძალიან გართულდება.

– მხოლოდ ტურისტების იმედად ვართ თუ ფიქრობთ, ეროვნული ბანკი აამოქმედებს იმ მექანიზმებს, რომლებიც მის ხელთ არის და რომლებსაც საზოგადოების დიდი ნაწილი ელოდება თუნდაც ბანკებთან დაკავშირებით?

– დღეს ეროვნულ ბანკს საზოგადოებაში იმდენად დაბალი რეპუტაცია აქვს, რომ მან, პირველ რიგში, საკუთარი და საბანკო სექტორის რეპუტაციის გადარჩენაზე უნდა იზრუნოს. ამას ვამბობ იქიდან გამომდინარე, რომ სწორედ მათ იმიჯსა და რეპუტაციაზეა დამოკიდებული მთლიანად ქვეყნის საფინანსო სისტემის ბედი, წარმატება.

ჩვენ რომ ვნახოთ ბოლო პერიოდში ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებები და ამ გადაწყვეტილებების შედეგები, ეს პირიქით გვაფიქრებინებს, რომ ეროვნული ბანკი განზრახ ახორციელებს ისეთ პოლიტიკას, რომელიც ხელს უწყობს საზოგადოებაში ნეგატიურ განწყობებს.

– რა გაძლევთ ამის თქმის საფუძველს?

– დღეს საბანკო სექტორი თავის ნებაზეა მიშვებული. თავად საბანკო სექტორი განსაზღვრავს ქვეყანაში ლარის კურსის ტენდენციას. რეალურად კი ეროვნულ ბანკს აქვს აბსოლუტურად ყველანაირი ბერკეტი, რათა მოახდინოს საჭირო დროს საჭირო ჩარევა იმისთვის, რომ ლარის კურსი სტაბილური იყოს. ყოველ შემთხვევაში, პროგნოზირებადი მაინც რომ იყოს, რათა მოქალაქეებსა და ინვესტორებს ჰქონდეთ სწორი პროგნოზის გაკეთების შესაძლებლობა, რა დროს რა რისკი შეიძლება დადგეს მათ წინაშე.

ეროვნული ბანკის პოლიტიკაზე ვართ დამოკიდებული და ასევე – საკანონმდებლო ორგანოს გადაწყვეტილებაზე, თუ რა პოლიტიკას გაატარებს პარლამენტი ეროვნული ბანკის მიმართ – გაამკაცრებს ზედამხედველობას თუ არა.

– კონკრეტული გადაწყვეტილება შეგიძლიათ დაგვისახელოთ, რომელიც, როგორც თქვენ ამბობთ, განზრახ მიიღო ეროვნულმა ბანკმა?

– ვხედავთ ეროვნული ბანკის ისეთ გადაწყვეტილებებს, რომლებიც ხშირად დროშია აცდენილი. მაგალითად, ძალიან ბევრი რეკომენდაციაა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მხრიდან საბანკო სექტორის მისამართით, მაგრამ ეროვნული ბანკი ამ რეკომენდაციების მიღებას დროში აჭიანურებს.

– რატომ?

– უცნობია. დღეს ჩვენს ქვეყანაში ეროვნული ბანკი ყველაზე კარჩაკეტილი სისტემაა. ინფორმაციის მიღება ძალიან რთულია, თვითონ მათივე საიტზე დღითიდღე უფრო რთულდება ინფორმაციის მიღება. ეს კიდევ უფრო ხელს გვიწყობს, რომ ის გავაკრიტიკოთ.

– ეროვნულ ბანკს კომუნიკაცია არ აქვს ექსპერტებთან, დაინტერესებულ პროფესიულ წრეებთან?

– ეროვნული ბანკი ცდილობს, ჩაიკეტოს და საზოგადოებისგან შორს დაიჭიროს თავი. ის ცდილობს, კომუნიკაცია ჰქონდეს მხოლოდ ისეთ ექსპერტებთან, რომლებიც მის პოლიტიკას იწონებენ.

რეფინანსირების სესხების საკითხზე მინდა ვთქვა, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია და რომელიც 2 მილიარდს არის გადაცდენილი. ეს არის ზღვარი, ის პიკი, როდესაც ლარმა ისევ შეიძლება, ნებისმიერ დროს დაიწყოს გაუფასურება, თუ ეროვნული ბანკი მკაცრ და სწორ პოზიციას არ დაიკავებს.

– ეროვნული ბანკი ბანკების მხარეს უფროა, ვიდრე ლარის კურსის შენარჩუნების?

– ეროვნულ ბანკს ურჩევნია, ფასების სტაბილურობა შეინარჩუნოს, რაც მას კანონში უწერია, ვიდრე შეინარჩუნოს ლარის კურსი, ვიდრე დაიცვას მომხმარებელთა უფლებები, ვიდრე იზრუნოს ფინანსური სისტემის სტაბილურობასა და განვითარებაზე.

კანონში უწერია, რომ მთელი კონცენტრაცია უნდა მოახდინოს ფასების სტაბილურობაზე, თუმცა ბოლო პერიოდში არც ფასებია სტაბილური. ამიტომ ეროვნულ ბანკს როგორც ბანკების, ისე მთლიანად საფინანსო სექტორის მიმართ მკაცრი პოლიტიკის გატარება მოუწევს.

ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის თანამშრომლების განცხადება

თბილისის საქალაქო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც სასამართლომ „თ.ჯ. თრეიდის“ სარჩელი ანუ ავთანდილ საყვარელიძის უკანონო მოთხოვნა ნაწილობრივ დააკმაყოფილა და ბადრი წილოსანისთვის მიყიდული ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის წილის 25% გადაფორმების ხელშეკრულება ბათილად ცნო.

ვინც ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის ისტორია იცის, მიხვდება, რა უსამართლობასთან გვაქვს საქმე.

წლების წინ, როდესაც ამ ქარხნის მეპატრონე ბიზნესმენი ბადრი წილოსანი იყო, ჩვენს მოვალეობას უპრობლემოდ ვასრულებდით, არც ხელფასების პრობლემა გვქონია და არც ადმინისტრაციასთან რაიმე გაუგებრობა. მას შემდეგ, რაც 2004 წელს მაშინდელმა ხელისუფლებამ ბატონ ბადრის ქონება იძულებით, ციხეში დაათმობინა, 2005 წელს ქარხანაში მოვიდა ახალი მეპატრონე და ახალი მენეჯმენტი, გვქონდა მოლოდინი, რომ სიტუაცია, მინიმუმ, არ გაუარესდებოდა, თუმცა სწორედ მაშინ დაიწყო ჩვენი მორალური თუ მატერიალური ტერორი. ხელფასების გარდა და ზოგადად პირობების გაუმჯობესება მხოლოდ ცრუ დაპირება იყო, რომელსაც თვიდან თვემდე იმ იმედით ვიჯერებდით, რომ ოდესღაც სიტუაცია გამოსწორდებოდა. თუ პროტესტს გამოვხატავდით, ამას მოჰყვებოდა უფრო დიდი არარეალური დაპირებები, რომ შეკვეთების რაოდენობა ქარხანას ეზრდებოდა, შესაბამისად, ჩვენი ხელფასების პრობლემაც მოგვარდებოდა. ეს ხდებოდა სამი წლის განმავლობაში, თუმცა ბოლო ორმა წელიწადმა კრიტიკულ ზღვარს მიაღწია. დაახლოებით წელიწად-ნახევრის ხელფასები დღემდე ასაღები დაგვრჩა (საერთო ჯამში, დაახლოებით 1.600.000 ლარი). სანაცვლოდ კი გავიგეთ, რომ ახალ მეპატრონეს, ავთო საყვარელიძეს, მხოლოდ საქართველოს რკინიგზიდან მილიონობით ლარის ავანსი ჰქონდა აღებული, შესრულებული სამუშაო კი მის 20%-საც არ შეადგენდა. სად წავიდა ეს ფული, ჩვენთვის უცნობია. როგორც უკვე გითხარით, ჩვენ წელიწადნახევრის ხელფასები საერთოდ არ აგვიღია. ქარხანა 70 მილიონი ლარის დავალიანების გამო გაკოტრდა და ფუნქციონირება შეწყვიტა.

2008 წელს ქარხანა ბადრი წილოსანმა არსებული დავალიანებებით ხელმეორედ შეისყიდა. ამ ადამიანს რომ ქარხნის ბედი აღელვებს, ჩვენთვის უცხო არ არის, რადგან მასთან წლების განმავლობაში მუშაობის გამოცდილება გვაქვს. არაერთხელ გვიგრძნია მისგან მხარდაჭერა. ბადრი წილოსანი 1974 წლიდან მუშაობს ამ ქარხანაში. მან მუშაობა საამქროს ნორმადარობით დაიწყო, წლების განმავლობაში არაერთი თანამდებობა ეკავა და 2002 წლიდან ქარხნის მესაკუთრეა. ჩვენთვის გაუგებარია, რის საფუძველზე მიიღო სასამართლომ აღნიშნული გადაწყვეტილება, რადგან ეს ადამიანი საკუთარი ხელით აკეთებდა ვაგონებს, დიდი შრომის ფასად მიაღწია იმას, რასაც უკვე მეორედ ართმევენ.

ციხეებსა და განყოფილებებში ქონების ჩამორთმევა ხომ წინა ხელისუფლების უდიდესი მანკიერება იყო, რომელიც, სამწუხაროდ, საკუთარ თავზე გამოცადა ბადრი წილოსანმა. რაოდენ სასაცილოც არ უნდა იყოს, დღეს ის ადამიანი აბრალებს ბადრი წილოსანს ქონების იძულებით ჩამორთმევას (იგულისხმება ავთო საყვარელიძე), რომელიც თავად კარგ ურთიერთობაში იყო მაშინდელ მაღალჩინოსნებთან. თურმე ასეთი ადამიანისგან ბადრი წილოსანმა გაკოტრებული, 70 მილიონი ლარის დავალიანების მქონე ქარხანა იძულებით გადაიფორმა და იმ დღესვე 1.100.000 აშშ დოლარი ჩაურიცხა. იძულებით ჩამორთმევა ის იყო, რაც წილოსანს გაუკეთეს – არცერთი თეთრის სანაცვლოდ წაღებული, სახელმწიფო ბალანზე გადატანილი, შემდეგ კი პირდაპირი მიყიდვის წესით ავთო საყვარელიძეზე გადაფორმებული ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხანა.

ავთო საყვარელიძეს მხოლოდ საკუთარი ინტერესები ამოძრავებს და მას ქარხნისა და ჩვენი ბედი არასოდეს აღელვებდა. სწორედ ამიტომ ვართ აღშფოთებული სასამართლოს გადაწყვეტილებით.

ჩვენ სრულ მხარდაჭერას ვუცხადებთ ბადრი წილოსანს და მზად ვართ, ნებისმიერ დროს ნებისმიერ დაინტერესებულ ადამიანს დეტალურად მოვუყვეთ იმ რთული გზის შესახებ, რომელიც ერთად გამოვიარეთ.

ვიმედოვნებთ, რომ სააპელაციო სასამართლო სამართლიან გადაწყვეტილებას მიიღებს. სიმართლე კი მხოლოდ ერთია – ბადრი წილოსანი არის ყოფილი ხელისუფლების უკანონო პატიმარი, ქონებაჩამორთმეული ბიზნესმენი, რომელსაც ყოველთვის აღელვებდა დასაქმებულთა ბედი და რომელმაც საკუთარი ქონების დასაბრუნებლად ურთულესი გზა გაიარა.

ედიშერ ქარჩავა: „მამა გიორგი მამალაძეს ესპანეთში კომპანიის საშუალებით 50 მილიონი ევრო უნდა გადაერიცხა“

მამა გიორგი მამალაძეს ესპანეთში კომპანია ჰქონდა დაფუძნებული და მისი საშუალებით 50 მილიონი ევროს ტრანზაქცია უნდა განხორციელებულიყო.

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ საპატრიარქოს იურისტმა ედიშერ ქარჩავამ განუცხადა.

როგორც მან აღნიშნა, დეკანოზი, მღვდელმსახურების გარდა, სამეწარმეო საქმიანობას ეწეოდა, რისი მტკიცებულებებიც არსებობს.

– შემთხვევით აღმოჩნდა, რომ რაღაც კომპანია აქვს დარეგისტრირებული ესპანეთში, რომლის თავმჯდომარეც თვითონ მამაოა. არის ხელშეკრულება 50 მილიონი ევროს დაფინანსებას თუ გადმოგზავნასთან დაკავშირებით. ეს ტრანზაქცია უნდა განხორციელებულიყო და ამას ხელს აწერს თვითონ მამაო.

ამ იურიდიულ დოკუმენტებში და ხელშეკრულებებში ჩართულები არიან უკრაინის მოქალაქეები, რაც იძლევა საფუძვლიან ეჭვს, რომ მამაოს უკან, შესაძლოა, კრიმინალური დაჯგუფება იდგეს, რომელიც, შესაძლოა, ფულის გათეთრებასთანაც იყოს დაკავშირებული. ფული ეკუთვნოდათ ამ უკრაინელებს, – განაცხადა ედიშერ ქარჩავამ და დასძინა, რომ აღნიშნული 50 მილიონი ევროს დანიშნულების შესახებ მას ინფორმაცია არ აქვს.

– ამის კანონიკური უფლებაც არ ჰქონდა მღვდელს, რომ რაღაც საშუამავლო, კომერციული ფირმის დირექტორი ყოფილიყო, მით უმეტეს, ესპანეთში და ვიღაც გაურკვეველი, გაუგებარი წარმომავლობის პირებისგან რატომ უნდა მიეღო 50 მილიონი.

ამის დამადასტურებელი დოკუმენტები არსებობს ერთ-ერთ პირთან. ფაქტია, რომ ამ უკანონო ქმედებას არც პატრიარქი დაუშვებდა, არც ქორეპისკოპოსები, არც მეუფე იაკობი, არც მეუფე თეოდორე და არც ის პირები, რომლებიც ამ უკანონო ქმედებების განხორციელებაში ხელის შემშლელი ფაქტორები იქნებოდნენ, – განაცხადა საპატრიარქოს იურისტმა.

„ელ ცენტროს“ დირექტორი: „ფარცხალაძე-თორდიას ჩხუბზე გამოძიებას ყველა ჩვენება აქვს“

ღამის კლუბ „ელ ცენტროს“ დირექტორი ილია კაპანაძე ყოფილ მთავარ პროკურორ ოთარ ფარცხალაძესა და გენერალურ აუდიტორ ლაშა თორდიას შორის 13 მაისს მომხდარ ინციდენტზე პირველ კომენტარს აკეთებს. როგორც ილია კაპანაძემ საზოგადოებრივს განუცხადა, მომხდარის შესახებ გამოძიებამ „ელ ცენტროს“ თანამშრომლები სრული შემადგენლობით დაკითხა.

მისი თქმით, ინციდენტის ღამეს თავადაც იმყოფებოდა კლუბში, თუმცა „იმდენად ხანმოკლე შემთხვევა იყო“, რომ მომხდარის შესახებ, მედიით შეიტყო.

– გავიგე, რომ პატარა შეკამათება იყო. ვინ იჩხუბა და რა გააკეთეს, მე არ გამიგია. ეს ინციდენტი მასშტაბური არ იყო და ვერც იქნებოდა, რადგან დაცვა გვყავს და როდესაც რამე ხდება, მომენტალურად ახდენს რეაგირებას. მე როგორც ვიცი, ინციდენტი რამდენიმე წამის განმავლობაში ხდებოდა და შემდეგ განეიტრალდა სიტუაცია, – განაცხადა ილია კაპანაძემ.

ის არც უარყოფს და არც ადასტურებს ინფორმაციას დაწესებულებიდან სათვალთვალო კამერების ჩანაწერების ამოღების შესახებ.

– დაიკითხა მთელი სამუშაო პერსონალი, გარკვეული ღონისძიება ჩატარდა, რაზეც ვერ ვისაუბრებ, იმიტომ, რომ გამოძიება ჯერ არ დასრულებულა და უმჯობესია, დაელოდოთ გამოძიების შედეგებს. გამოძიება დამიკავშირდა, მთხოვეს და ინციდენტის მომდევნო დღეებში ჩატარდა საგამოძიებო ღონისძიება, – განაცხადა ილია კაპანაძემ.

შეკითხვაზე, რამდენ ხანში იშლება დაწესებულებაში სათვალთვალო კამერების ჩანაწერები, კაპანაძემ აღნიშნა, რომ ამის შესახებ ინფორმაციას არ ფლობს.

– რაც შეეხება კამერებს, მიმართეთ გამოძიებას. ყველანაირი ჩვენება, საბუთი და ინფორმაცია აქვს გამოძიებას. დანარჩენ ინფორმაციას მიიღებთ გამოძიებისგან, – განაცხადა ილია კაპანაძემ.

ლაშა თორდიას ინფორმაციით, 13 მაისს შარდენის ქუჩაზე მას თავს დაესხნენ, რაშიც ყოფილი მთავარი პროკურორი ოთარ ფარცხალაძე მონაწილეობდა. მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით მიმდინარეობს, რომელიც ცემას გულისხმობს. სამართალდამცველებმა უკვე დაკითხეს ლაშა თორდიაც და ოთარ ფარცხალაძეც.

ნიუპოსტი

ინფექციურ საავადმყოფოსთან მსროლელის ვინაობა დადგინდა

პირის ვინაობა, რომელმაც ინფექციური საავადმყოფოს ფანჯრებს იარაღიდან ესროლა, დადგენილია. ინფექციური საავადმყოფოს ფანჯრებს რამდენიმე ტყვია 19 მაისს ესროლეს. თვითმხილველის ინფორმაციით, პალატის ფანჯარაში რამდენიმე ტყვია შევარდა, მათ შორის, ერთი საწოლსაც მოხვდა.

უწყებაში აცხადებენ, რომ სამართალდამცველებმა, გამოძიების ფარგლებში, დაუყოვნებლივ ჩაატარეს აღნიშნული პირის ბინის ჩხრეკა, საიდანაც რეგისტრირებული ცეცხლსასროლი რევოლვერი და ამავე რევოლვერისთვის განკუთვნილი „გეკოს“ ვაზნები ამოიღეს.

შსს-ს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად დაადგინეს იმ პირის ვინაობა, რომელმაც 19 მაისს თბილისში, ალ. ყაზბეგის ქუჩაზე მდებარე ბოჭორიშვილის სახელობის კლინიკის მიმდებარე ტერიტორიაზე, ცეცხლსასროლი იარაღიდან ისროლა.

სროლის შედეგად კლინიკის მე-3 სართულზე არსებული პალატის ფანჯარა დაზიანდა.

სამართალდამცველებმა, გამოძიების ფარგლებში, დაუყოვნებლივ ჩაატარეს აღნიშნული პირის ბინის ჩხრეკა, საიდანაც რეგისტრირებული ცეცხლსასროლი რევოლვერი და ამავე რევოლვერისთვის განკუთვნილი „გეკოს“ ვაზნები ამოიღეს. დანიშნულია შესაბამისი ექსპერტიზები. გამოძიება გრძელდება ნივთის დაზიანების ან განადგურების ფაქტზე (საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლით).

პროკურატურამ მოსამართლე ნონა წოწორიას ძმის ბინაში იარაღის აღმოჩენაზე დაწყებული გამოძიება შეწყვიტა

პროკურატურამ სტრასბურის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოს მოსამართლე ნონა წოწორიას ძმის ოთარ წოწორიას საცხოვრებელ ბინაში იარაღისა და საბრძოლო მასალის აღმოჩენის ფაქტზე დაწყებული გამოძიება შეწყვიტა.

საგამოძიებო ორგანოს ინფორმაციით, ოთარ წოწორიას სახლიდან ამოღებული რევოლვერი სროლისთვის ვარგისი არ არის, ამოღებული ნივთები კი მის გარდაცვლილ სიმამრს ეკუთვნოდა.

2017 წლის 18 მაისს შსს ხელვაჩაურის რაიონულ სამმართველოში, მიღებული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, რომლის თანახმად, ბათუმში, ფარნავაზ მეფის ქუჩაზე მდებარე ოთარ წოწორიას საცხოვრებელ სახლში უკანონოდ ინახებოდა ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა, დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით.

იმავე დღეს, გამოძიების მიერ, გადაუდებელ შემთხვევაში, ჩატარდა ოთარ წოწორიას საცხოვრებელი სახლის ჩხრეკა, რომელსაც ოთარ წოწორიასთან ერთად ესწრებოდა მისი ადვოკატი.

ჩხრეკის შედეგად ამოღებული იქნა რევოლვერი და სხვადასხვა სახის 227 ვაზნა.

გადაუდებელ შემთხვევაში ჩატარებული საგამოძიებო მოქმედება კანონიერად იქნა ცნობილი სასამართლოს მიერ. რევოლვერის და ვაზნების ვარგისიანობის დადგენის მიზნით საქმეზე დაინიშნა და ჩატარდა ბალისტიკური ექსპერტიზა.

ექსპერტიზით დადგინდა, რომ ამოღებული რევოლვერი დამზადებულია კუსტარული წესით, მაგრამ არ არის ვარგისი სროლისთვის და არ მიეკუთვნება ცეცხლსასროლ იარაღთა კატეგორიას, ხოლო ამოღებული ვაზნები მიეკუთვნება საბრძოლო მასალათა კატეგორიას და ვარგისია გამოსაყენებლად.

გამოძიების მიერ დაიკითხნენ ოთარ წოწორია და მისი ოჯახის წევრები: მეუღლე, მეუღლის და და ოთარ წოწორიას სიდედრი, რომელთა ჩვენებების საფუძველზე დადგინდა, რომ ამოღებული ნივთები ეკუთვნოდა ოთარ წოწორიას სიმამრს – ა. ა-ს.

ჩატარებული გამოძიებით დადასტურდა ა. ა-ს მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტი, მაგრამ ვინაიდან იგი 2017 წლის 11 მაისს გარდაიცვალა, პროკურორის დადგენილების საფუძველზე 2017 წლის 20 მაისს სისხლის სამართლის საქმეზე შეწყდა გამოძიება სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისაცემი პირის გარდაცვალების გამო.

იარაღის უკანონო შეძენა-შენახვისთვის 1 პირი დაიჭირეს

შსს-ს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1970 წელს დაბადებული ბ.ე. ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს.

როგორც „ნიუპოსტს“ შს სამინისტროდან აცნობეს, სამართალდამცველებმა ბრალდებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას „ნაგანის“ სისტემის 2 რევოლვერი და 13 ვაზნა ამოიღეს.

დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით).

ჩხოროწყუში 6 წლის ბავშვზე სექსუალური ძალადობა ცადეს

6 წლის ბავშვზე სექსუალური ძალადობის მცდელობის ფაქტი მოხდა ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სოფელ ღესიჭინეში.

როგორც ზ.ხ-ს ოჯახში აცხადებენ, ბავშვის დედამ სახლის გვერდით მდებარე თხილნარში შვილის ტირილი გაიგონა და მის საშველად გაიქცა. დედის დანახვისთანავე მოძალადე 30 წლის გ.ჯ.-მ გაქცევა ცადა და, შესაბამისად, ბავშვზე ძალადობა ვერ მოახერხა.

ადგილობრივების ცნობით, გ.ჯ. დაკავებულია.

როგორც გაირკვა, გაუპატიურების მცდელობების გამო ის ორჯერ იყო გასამართლებული და სასჯელიც მოიხადა,

შსს-ს განცხადებით, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 141-ე მუხლით მიმდინარეობს.

უკრაინის უშიშროებამ ქართველი „კანონიერი ქურდი“ დათო გერლიანი ისევ დააკავა

უკრაინაში ცნობილი ქართველი ე.წ. კანონიერი ქურდი დათო გერლიანი (დათო სვანი) დააკავეს. ამის შესახებ უკრაინული მედია ქვეყნის უშიშროების სამსახურზე დაყრდნობით წერს.

უშიშროების სამსახურის ინფორმაციით, მიმდინარე წლის აპრილში დათო სვანი უკანონოდ, გაყალბებული საბუთებით ჩავიდა ოდესაში ადგილობრივი კრიმინალური სამყაროს გაკონტროლების მიზნით. ოდესაში მისი შესაძლო დაკავების თავიდან ასაცილებლად გერლიანი დნეპრში გადავიდა, სადაც ის უშიშროებამ დააკავა.

უკრაინული მხარე გერლიანის დეპორტაციას გეგმავს, რის შემდეგაც მას 3 წლით ქვეყანაში შესვლა აეკრძალება.

კრიმინალური ავტორიტეტის დავით გერლიანის იმავე დათო სვანის დეპორტაცია უკრაინიდან გასული წლის ზაფხულში მოხდა, თუმცა „კრიმინალური ავტორიტეტის“ დაკავება აეროპორტში არ განხორციელებულა, რის გამოც საქართველოს ძალოვანი უწყებები ოპოზიციის წარმომადგენლებმა გააკრიტიკეს.

მისი დაკავება საქართველო-სომხეთის საზღვრის გადაკვეთის მცდელობისას მოხდა.

ამის მიუხედავად, დავით გერლიანი ქართულმა სასამართლომ „კანონიერი ქურდობის“ ბრალდების ნაწილში გაამართლა, ხოლო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის მცდელობაში დამნაშავედ ცნო და 6.500-ლარიანი ჯარიმა დააკისრა, რის შემდეგაც გერლიანი სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლა.

მოგვიანებით დათო გერლიანმა ქვეყანა დატოვა.

აჭარაში თურქეთის მოქალაქე დაიჭირეს

შსს-ს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის ხელვაჩაურის რაიონული სამმართველოს გონიოს პოლიციის განყოფილების თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1984 წელს დაბადებული თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე ა.ქ. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვის ბრალდებით ახალსოფლის დასახლებაში დაკავეს.

სამართალდამცველებმა ა.ქ.-ს პირადი ჩხრეკისას 29 აბი და აბის ნატეხები ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს, რომელიც, ექსპერტიზის დასკვნით, ბუპრენორფინს შეიცავს.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით).

ორთაჭალაში ბალერინამ დედა მოკლა

ორთაჭალაში დედა თავისმა ქალიშვილმა მოკლა. არსებული ინფორმაციით, მკვლელს ფსიქიკური პრობლემები აქვს.

რუსთავი 2-ის ცნობით, დაკავებული გოგონა ნინო ანანიაშვილის დასის სოლისტია. შინაგან საქმეთა სამინისტროში საქმის დეტალებზე არ საუბრობენ.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ოჯახში ძალადობის ნიადაგზე ჩადენილ განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

პეტრო პოროშენკო ანგელა მერკელს შეხვდა

უკრაინის პრეზიდენტ პეტრო პოროშენკოს ვიზიტი გერმანიაში ფრიად საინტერესო ფონზე წარიმართა. ახლოვდება დიდი ოცეულის შეხვედრა, რომელიც ჰამბურგში გაიმართება; რუსების მორიგი მცდელობა, დონბასის ფრონტზე წინ წაწეულიყვნენ, ჩაიშალა; რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლავროვმა მინსკის შეთანხმებების დარღვევა ბრალად უკრაინას დასდო.

– ვიმედოვნებთ, რომ დასავლეთის ქვეყნები, უწინარეს ყოვლისა გერმანია, ამაზე სათანადო რეაგირებას მოახდენენ. უკვე დროა, უკრაინის მიმართ სანქციები იქნეს შემოღებული, – განაცხადა ლავროვმა.

რუსეთის მინისტრმა ხაზი გაუსვა, რომ მოსკოვი კვლავაც „შტაინმაიერის ფორმულირების“ მომხრეა: ჯერ ცეცხლის შეწყვეტა და დონბასის სტატუსის განსაზღვრა უკრაინის შემადგენლობაში, შემდეგ რეგიონიდან უცხო ქვეყნების ფორმირებების გაყვანა და საზღვარზე კონტროლის მთლიანად უკრაინისთვის გადაცემა.

ჟურნალისტებთან საუბრისას ლავროვმა აღიარა, რომ დონბასში რუსი ჯარისკაცები იმყოფებიან.

– დონბასში ჩვენი მოხალისეები არიან. ისინი დონბასს მხოლოდ მას შემდეგ დატოვებენ, რაც ამ რეგიონს უკრაინის შემადგენლობაში ავტონომიას მიანიჭებენ, – თქვა ლავროვმა.

ამრიგად, კრემლმა ევროპას უკრაინაზე ზეწოლის გაძლიერებისა და ამ ქვეყნის ფედერალიზაციის ხელშეწყობისკენ მოუწოდა. მიუხედავად ამისა, გერმანიაში ჩასულ პოროშენკოს თბილი დახვედრა მოუწყვეს. უკრაინის პრეზიდენტი მესებერგის სასახლეში (ბრანდენბურგის მახლობლად), გერმანიის კანცლერის ქალაქგარე რეზიდენციაში მიიღეს. აქ გერმანიის ხელისუფლება განსაკუთრებით პატივსაცემ სტუმრებს იღებს ხოლმე.

პოროშენკოსა და მერკელის საუბარი დონბასში მიმდინარე პროცესების გარშემო წარიმართა. უკრაინის პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ მინსკის შეთანხმებებს ალტერნატივა არ აქვს. მერკელმა, თავის მხრივ, შენიშნა, რომ მინსკის შეთანხმებები არ სრულდება და ამაზე პასუხისმგებლობა რუსეთს ეკისრება. კანცლერმა ხაზი გაუსვა, რომ ნორმანდიული ფორმატის ძალისხმევა უნდა გაიზარდოს.

– გერმანია ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ ნორმანდიული ფორმატის აქტიურობა გაიზარდოს, – განაცხადა მერკელმა.

კანცლერმა ხაზი გაუსვა, რომ თანახმად მინსკის შეთანხმებებისა, დონბასიდან ყველა უცხო ქვეყნის ფორმირება უნდა გავიდეს, საზღვარი კი მთლიანად უკრაინის კონტროლქვეშ გადავიდეს. რაც შეეხება დონბასის სტატუსს, მისი განსაზღვრა მხოლოდ ამის შემდეგ არის შესაძლებელი.

პეტრო პოროშენკომ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ ევროკავშირის სანქციები რუსეთის მიმართ გაგრძელდება.

მან დონბასში ჰუმანიტარული კატასტროფის საფრთხეზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ნორმანდიული ფორმატი ყველაფერს გააკეთებს საიმისოდ, რათა ეს არ მოხდეს.

– ჩვენ შევიმუშავეთ სცენარი, თუ როგორ უნდა ვაიძულოთ რუსეთი, მინსკის შეთანხმებები შეასრულოს, – აცხადებს პოროშენკო.

აშშ საუდის არაბეთს 110 მილიარდით დაეხმარება

დონალდ ტრამპი საუდის არაბეთში ჩავიდა. ეს მისი, როგორც პრეზიდენტის, პირველი საზღვარგარეთული ვიზიტია.

ტრამპისა და საუდის არაბეთის მეფის სალმანის მოლაპარაკებების შედეგად ხელი მოეწერა შეთანხმებას აშშ-საუდის არაბეთს შორის სამხედრო თანამშრომლობის შესახებ. კერძოდ, აშშ საუდის არაბეთს 110 მილიარდი დოლარის შეიარაღებას მიაწვდის.

ეს არის სამხედრო ტექნიკის კომპლექსური მიწოდება. მისი მიზანია როგორც საუდის არაბეთის, ასევე რეგიონის ყველა ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

ტრამპმა მონაწილეობა მიიღო ერ რიადში გამართულ სამიტში. საუბრის ძირითადი თემა ტერორიზმთან ბრძოლა იყო.

ჩრდილოეთ კორეამ ბალისტიკური რაკეტა კვლავ გამოცადა



ჩრდილოეთ კორეა ბალისტიკური რაკეტების გამოცდას განაგრძობს. აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა ჯეიმს მატისმა განაცხადა, რომ ფხენიანი კრიზისს ხელოვნურად აღვივებს.

– ჩრდილოეთ კორეა ცდილობს, კრიზისი სამხედრო გზით განმუხტოს, – ამბობს მატისი.

აშშ-ის თავდაცვის მინსტრმა ხაზი გაუსვა, რომ კორეის კრიზისის სამხედრო მეთოდებით განმუხტვა შეუძლებელია და ვაშინგტონში ეს კარგად ესმით.

– თუკი ჩრდილოეთ კორეა ესკალაციას შეეცდება, ეს მისთვის ტრაგიკული შედეგებით დასრულდება, – ამბობს მატისი.

ირანი: როუჰანი ისევ პრეზიდენტია

ირანში საპრეზიდენტო არჩევნები დასრულდა. მოქმედმა პრეზიდენტმა როუჰანიმ ხმების 57% დააგროვა, ხოლო მისმა კონკურენტმა, კონსერვატიულ-რელიგიურმა მოღვაწე რაისიმ – 38%.

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა რექს ტილერსონმა გამოთქვა იმედი, რომ როუჰანის გამარჯვება ირანის პოლიტიკის შეცვლას გამოიწვევს. კერძოდ, თეირანი უარს იტყვის საერთაშორისო ტერორისტების მხარდაჭერაზე და შეწყვეტს აგრესიას სირიაში.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ბრიტანელმა საკუთარი სხეულის სპორტულ ფორმას სამ თვეში მიაღწია

ბრიტანეთის ქალაქ ყორინგტონის მცხოვრებმა საკუთარი გარეგნობის შეცვლა და მისთვის სპორტული აღნაგობის მიცემა 12 კვირაში შეძლო.

სამი შვილის 45 წლის მამამ ბენ ჯექსონმა წონაში შვიდი კილოგრამი დაიკლო და კუნთების მასა გაიდიდა. მამაკაცმა მოახერხა ორგანიზმში ცხიმების შემცველობა 20-დან 9 პროცენტამდე შეემცირებინა. ბრიტანელი დიდი შემცველობის პროტეინის დაბალნახშირწყლოვან დიეტაზე დაჯდა, უარი თქვა აღკოჰოლზე და კვირაში ხუთი დღე სპორტულ დარბაზში ვარჯიშობდა.

ჯექსონს სურდა, რომ ამით მაგალითი მიეცა საშუალო ასაკის სხვა მამაკაცებისთვის, რათა მათაც იმუშაონ საკუთარი სხეულის სრულყოფაზე.

– სულ სხვა ადამიანი გავხდი, უფრო ნათელი და ცოცხალი. ახლა უკვე უკეთესად მძინავს, ბავშვების მიმართაც უფრო მშვიდი ვარ, ასევე სამსახურში პრობლემებსაც უფრო ადვილად ვუმკლავდები. ერთი სიტყვით, გაცილებით ბედნიერად ვგრძნობ თავს, – განაცხადა ჯექსონმა.

ქალეიდოსკოპი

ამერიკელს ჩხრიალა გველის კოცნა ძვირად დაუჯდა

ჩხრიალა გველმა უკბინა ამერიკის ფლორიდის შტატის მცხოვრებს, რომელიც შეეცადა, ქვეწარმავლისთვის ეკოცნა.

მამაკაცის მეგობრის თქმით, ის ნასვამი იყო. მან ხელში აიყვანა ჩხრიალა გველი და თავი მისკენ საკოცნელად დახარა. გველი მთელი ამ დროის განმავლობაში მშვიდად გამოიყურებოდა, მაგრამ, როგორც კი მას მამაკაცის თავი მიუახლოვდა, მან ენაზე უკბინა.

დაშავებული მამაკაცი შვეულმფრენით გადაიყვანეს საავადმყოფოში. გავრცელებული ინფორმაციით, ის კრიტიკულ მდგომარეობაში იმყოფება.

ჩინეთში სმოგის პროფესიონალი დეგუსტატორები გამოჩნდნენ

ჩინეთის პროვინცია ჰებეის გარემოს მდგომარეობის კონტროლის ცენტრმა სამსახურში აიყვანა ახალი სპეციალისტები, რომელთაც სმოგის დეგუსტატორები უწოდეს.

მონიტორინგის ცენტრში რამდენიმე ასეთი დეგუსტატორი მუშაობს, რომელთაც სპეციალური სწავლება გაიარეს და ადგილობრივი ხელისუფლებისგან შესაბამისი ლიცენზია აქვთ მიღებული. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ისინი ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებში აღებული ჰაერის სინჯებს ანალიზს უკეთებენ. მათ ამოცანას წარმოადგენს ატმოსფეროს დაბინძურებისა და წყაროს დადგენა.

აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში ჩინეთში მნიშვნელოვნად გაუარესდა ეკოლოგიური მდგომარეობა. რაც გამოწვეულია ატმოსფეროში საწარმოო ნარჩენების დიდი რაოდენობით გამოფრქვევით. ამის გამო ქალაქები დროდადრო სმოგით იფარება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.
მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

განცხადებები

გთავაზობთ სამსახურს

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

მკურნალობა

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეულ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით.აჩქარებს ოპერაციის შემდგომ ჭრილობების შეხორცებას. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი..

● ალკოჰოლიზმი, „პახმელია“, „ზაპოი“, ალკოჰოლიზმისაგან გამოწვეული ნევროზი, უძილობა, აგრესიულობა, ღვიძლის პრობლემების მოწესრიგება – მცენარეული, შედეგიანი, მეტეხისა და ბეთლემის ტაძარში ნაკურთხი პრეპარატებით. პრეპარატები შეგიძლიათ შეურიოთ ფარულად საკვებში.სიგარეტის მიტოვება მცენარეული, უსაფრთხო გარანტირებული პრეპარატით. უკუჩვენება გამორიცხულია. ტელ: 599-45-88-66; 555-45-13-45.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემები – გასტრიტი, კუჭის წვენის დაბალი და მაღალი მჟავიანობა, კუჭშეკრულობა, კუჭაშლილობა და ა.შ. ნერვული სისტემის, სახსრების, პოტენციის და კანის სხვადასხვა პრობლემების მოწესრიგება. ბეთლემისა და მეტეხის ტაძარში ნაკურთხი პრეპარატებით. პრეპარატები უსაფრთხოა. ტელ:558-34-36-24.

● სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

● კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

ცუდი მსაჯობა, სტადიონზე ჩამქრალი შუქი და ტორპედოს გამარჯვება

ტორპედო-ლოკომოტივი 2:0

ქუთაისი. რამაზ შენგელია

1:0 კუჭუხიძე (69), 2:0 ტუღუში (85)

ტორპედო: რ.კვასხვაძე, ხურცილავა, ჭიჭინაძე, გ.გურული, ქიმაძე, კუხიანიძე, გიგაური, დოლიძე (ტაბატაძე 78), ტუღუში, კაპანაძე (კუჭუხიძე 67), საბანაძე (ბაბუნაშვილი 72)

ლოკომოტივი: ქურდაძე, ჭანტურია, სიხარულიძე, ქავთარაძე, დიასამიძე, კიკნაძე, კომახიძე (ბულრიძე 70), გაბაძე, რეხვიაშვილი, უბილავა, არდაზიშვილი (არველაძე 80)

ორივე გუნდი ლიდერთა სამეულში ადგილის დასამკვიდრებლად იბრძვის და ამიტომაც საინტერესო მატჩს ველოდით. თამაში მართლაც საინტერესო გამოდგა, მაგრამ უფრო სხვა შემთხვევებით.

მატჩი მასპინძელი გუნდის აქტიურობით დაიწყო. ორი ფორვარდით მოთამაშე ტორპედოელებმა სადებიუტო წუთებში რამდენიმე შეტევა განახორციელეს და ორჯერ კარისკენაც დაარტყეს. ბექა ტუღუშმა საჯარიმოს წინა ხაზიდან სცადა ბურთის გატანა, მაგრამ რკინიგზელთა მეკარემ იოლად აიცილა ხიფათი. მერაბ გიგაურმაც თითქმის იმავე მანძილიდან ძლიერად გაისროლა, ოღონდ ხარიხას გადააცილა.

ამის შემდეგ ტემპი ოდნავ მინელდა და სტუმრებსაც შედარებით გაუიოლდათ მეტოქის იერიშების მოგერიება. სათამაშო უპირატესობის მიუხედავად, ტორპედოელებს სახიფათოდ კარგა ხანს არ შეუტევიათ. 32-ე წუთზე კონტრიერიშის შედეგად ეროვნული ლიგის გოლეადორ ირაკლი სიხარულიძეს მიეცა გატანის შანსი, თუმცა მისი საკმაოდ ახლოდან თავით დარტყმული არაზუსტი გამოდგა.

პირველი ტაიმის დასრულებამდე ერთი წუთით ადრე მასპინძლებმა წესების სრული დაცვით გაიტანეს ბურთი ლოკომოტივის კარში. შუაგულ საჯარიმოში ნიკა საბანაძის მოკლე ზუსტი გადაცემის შემდეგ თორნიკე კაპანაძემ კარგად მიიღო ბურთი, ოსტატურად მოატყუა მეკარე და გაიტანა. არბიტრმა გოლი ჩათვალა და მოედნის ცენტრისკენ გაეშურა, თუმცა მალევე სტუმარ მოთამაშეთა ალყაში აღმოჩნდა, რომლებიც გადაწყვეტილებაში ედავებოდნენ და მოხდა ნონსენსი. არბიტრმა თავდაპირველი „ჩვენება“ შეცვალა, გოლი ანულირებულად გამოაცხადა. ამ ფაქტმა, რაღა თქმა უნდა, ტორპედოელთა და მათ ქომაგთა უკმაყოფილება გამოიწვია, ტრიბუნებზე ვითარება დაძაბა.

და ეს არ იყო ერთადერთი ექსცესი ამ მატჩში. 58-ე წუთზე სტადიონზე შუქი გაითიშა. გარე ტერიტორიაზე ელექტროგადამცემ ხაზებზე მომხდარი ავარიული მდგომარეობის აღმოფხვრას 20 წუთზე მეტი დაჭირდა და თამაშიც განახლდა.

ტორპედოელებმა მონდომებით შეუტიეს. 64-ე წუთზე ტუღუშმა სახიფათოდ დაურტყა ბექა ქურდაძეს დაბალ კუთხეში – მეკარემ იმარჯვა და ბურთი მოიგერია. ამ ეპიზოდიდან 5 წუთში კი მასპინძლებმა დაწინაურება მოახერხეს. გრიგოლ დოლიძემ მარცხენა ფრთიდან საჯარიმო დარტყმა შეასრულა, სტუმართა კართან არეულობა შეიქმნა და ამ არეულობაში შეცვლაზე 2 წუთით ადრე გამოსულმა ლაშა კუჭუხიძემ იყოჩაღა.

ამის შემდეგ ტორპედოელთა დამრიგებელმა კახა ჩხეტიანმა კიდევ ერთი შეცვლა გამოიცნო. ვაჟა ტაბატაძე აქტიურად ჩაერთო თამაშში და სწორედ მის მიერ მეტოქის საჯარიმოში გაკეთებულ ფლანგურ ჩაწოდებას მოჰყვა მეორე გოლი – კუჭუხიძემ გიორგი კუხიანიძეს უპასა, მან კი ტუღუშს, რომელმაც გამოზომილად დარტყმით საბოლოოს წერტილი დასვა – 2:0.

საბურთალო-დილა 0:1

თბილისი. მიხეილ მესხი

0:1 ნუბიო ფლავიო (12)

საბურთალო: კუპატაძე, ელვინ ტერა, მამუჩაშვილი, ცნობილაძე, ლაკვეხელიანი, არზიანი, ალთუნაშვილი (ფიფია 41), ბიძინაშვილი (იმნაძე 63), გონსალვესი, შინდაგორიძე (იაშვილი 68), კოხრეიძე

დილა: მუჯრიშვილი (ხაინდრავა 58), მაჩაიძე, კვახაძე, ქარქუზაშვილი, რომანიკი, პაპავა, დერეტი (ძარია 63), ლიბეირო (რაზმაძე 70), წიქარიძე, ნუბიო ფლავიო, კირკიტაძე

გაძევება: პაპავა (90)

დედაქალაქურმა საბურთალომ გორის დილას უმასპინძლა და მინიმალურად დამარცხდა 0:1. ერთადერთი გოლი შეხვედრის დებიუტში გავიდა, როდესაც ნუბიო ფლავიომ ახლო მანძილიდან გახსნა ანგარიში.

სტუმრებს პირველ ნახევარში გატანილი გოლის გარდა, ორამდე შეეძლოთ ანგარიშის გაზრდა, მაგრამ ახლო მანძილიდან ხელსაყრელი ეპიზოდი ქარს გაატანეს. ერთ-ერთ ეპიზოდში სტანდარტული სიტუაციის შემდეგ, ვლადიმერ მამუჩაშვილს შეეძლო გათანაბრება, მაგრამ დარტყმული კარს ზემოდან გადასცდა.

მეორე ნახევარში საბურთალო ცდილობდა გათანაბრებას, მაგრამ საერთო ჯამში თითზე ჩამოსათვლელად შექმნა მომენტი. ხელსაყრელი ეპიზოდი ელვინ ტერასაც შეექმნა, მაგრამ კენიელის დარტყმული მეკარე მუჯრიშვილმა მოიგერია.

კოლხეთი-შუქურა 0:0

ქობულეთი. ეროსი მანჯგალაძე

კოლხეთი: სიკაჩი, გ.კილასონია, კერძევაძე, კაკულია (ოტიენო 78), დაფე, ჯანელიძე, კოვტალიუკი, კოროობკა, ბოლქვაძე, ვ.კილასონია, ბუხაიძე (ყიშკარიანი 61)

შუქურა: სტურუა, კალანდაძე, მახარაძე, კუტალია, კლიმიაშვილი, შალამბერიძე (ცეცხლაძე 90), ს.გურული (ჭეჭელაშვილი 87), ჭეჟია, მამულაშვილი, დაგარგულია (ართმელაძე 66), ჩაჩუა

აუტსაიდერთა მატჩში გოლის გატანის შანსი ორივე გუნდს ჰქონდა, მაგრამ უგოლოდ დასრულდა. მართალია, ქობულეთის შუქურამ ზედიზედ 9-მატჩიანი მარცხიანი სერია შეწყვიტა, მაგრამ ჯერაც უმძიმეს მდგომარეობაშია. ფოთის კოლხეთმა კი 2 ქულის დაკარგვით გაირთულა სიტუაცია.

სატურნირო ცხრილი:

1.დინამო (თბ)	12	9	1	2	23-5	28
2.ტორპედო	13	7	4	2	18-9	25
3.სამტრედია	12	7	2	3	14-10	23
4.ლოკომოტივი	13	6	3	4	26-15	21
5.საბურთალო	13	6	1	6	16-14	19
6.დილა	13	4	6	3	15-13	18
7.ჩიხურა	12	5	1	6	16-18	16
8.დინამო (ბთ)	12	4	0	8	10-16	12
9.კოლხეთი	13	3	2	8	13-24	11
10.შუქურა	13	0	4	9	6-33	4

ბომბარდირები: ირაკლი სიხარულიძე – 11 ბურთი; მამია გავაშელიშვილი (ორივე ლოკომოტივი) – 8; მიკოლა კოვტალიუკი (კოლხეთი) – 7; ბაჩანა არაბული (დინამო თბ), დიმიტრი ტატანაშვილი (ჩიხურა) 6-6.

ფაჩულიას ტრავმა აქვს. ბითაძის გარჯა ევროლიგის ფინალის მოსაგებად საკმარისი არ აღმოჩნდა

საკალათბურთო ლეგიონის ამბები

გოლდენ სტეიტ უორიორსმა სან ანტონიოში 120:108 დაამარცხა ტრავმებით გატანჯული სფურსი და დასავლეთ კონფერენციის ფინალურ სერიაში 3:0 დაწინაურდა. შეხვედრაში მონაწილეობა არ მიუღია ოკლენდელთა ძირითად ცენტრ ზაზა ფაჩულიას, რომელმაც წინა შეხვედრაში ქუსლი იტკინა და ექიმებმა მისი დასვენება გადაწყვიტეს.

დანაკლისი სან ანტონიოს უფრო მეტი ჰქონდა. გუნდის ლიდერებს – ტონი პარკერსა და კავაი ლეონრდს მატჩის მსვლელობისას, პირველ პერიოდში, დევიდ ლიც შეუერთდა, რომელმაც ტრავმა მიიღო და თამაში ველარ გააგრძელა. ოკლენდელებმა კი მასპინძლებს ისე მოუთავეს საქმე, შანსი არ მიუციათ.

გოლდენ სტეიტს კევინ დიურანტმა ულიდერა, რომელმაც 33 ქულა და 10 მოხსნა მიითვალა. 21 ქულა მოაგროვა სტეფ კარიმ, რომელმაც რიკ ბერის გოლდენ სტეიტის საპლეიოფო ბომბარდირის სტატუსი ჩამოართვა. 13 წუთში 16 ქულა მოაგროვა ფაჩულიას ნაცვლად ოკლენდელთა სასტარტო ხუთეულში მყოფმა ჯავალ მაკგიმ, კლეი ტომპსონის ანგარიშზე კი 17 ქულა დაგროვდა.

სერიის მომდევნო შეხვედრა კვლავ სან ანტონიოში გაიმართება და გამარჯვების შემთხვევაში გოლდენ სტეიტი ნბა-ს სუპერფინალში გავა.

ესპანეთის ჩემპიონატის პლეი ოფი გამარჯვებით გახსნა ბასკონიამ, რაშიც თორნიკე შენგელიას წილი სოლიდურია. ბასკურმა გუნდმა მეოთხედფინალური სერიის პირველ მატჩში გრან კანარიას უმასპინძლა და 71:59 დაამარცხა.

შენგელია თამაშში სათადარიგოთ სკამიდან ჩაერთო და 22 წუთში 13 ქულა, 7 მოხსნა (2 შეტევაში) და 1 ჩაჭრა მოაგროვა. ქართველმა ფორვარდმა 5-დან 4 ორქულიანი, 3-დან სამქულიანი და 2-ვე საჯარიმო ჩააგდო.

ქართველი ფორვარდის სარგებლიანობის კოეფიციენტი 18-ს გაუტოლდა, რითაც ის მხოლოდ ადამ ჰანგას (26) ჩამორჩა. უნგრელმა ლეგიონერმა 17 ქულა, 8 მოხსნა, 2 პასი, 2 ჩაჭრა და 2 დაფარება მიითვალა.

მეოთხედფინალური სერია 2 გამარჯვებამდეა და თუკი ბასკონიელები 25 მაისს გრან კანარიასთან სტუმრადაც იმარჯვებენ, ნახევარფინალში გავლენ.

საქართველოს ნაკრების ნტურალიზებული ამერიკელი კალაბურთელი, მაიკლ დიქსონი საბერძნეთის ჩემპიონატის ფინალში გასასვლელად ამ ქვეყნისა და ევროპის ერთ-ერთ ტიტანს – პანათინიკოსს ებრძვის. დიქსონის აეკ-მა მეტოქეს ჯერ ნახევარფინალური სერია გაუთანაბრა და მესამე შეხვედრაშიც, სტუმრად დიდი ბრძოლა გაუმართა.

კიდევ ერთი ხმაურიანი გამარჯვების მოსაპოვებლად აეკ-ს ძალა არ ეყო. მესამე პერიოდში დიქსონის გუნდი 8 ქულით დაწინაურდა, თუმცა უპირატესობის შენარჩუნება ვერ მოახერხა და საბოლოოდ 71:82 დამარცხდა.

დიქსონი მატჩში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო და 16 წუთში 6 ქულა, 3 მოხსნა და 1 პასი მიითვალა. მაიკლმა 6-დან 2 ორქულიანი და 4-დან 2 საჯარიმო ჩააგდო, 3 სამქულიანი ააცილა.

ნახევარფინალური სერია 4 მოგებამდე გრძელდება. 1:2 ჩამორჩენილი აეკ-ი მორიგ მატჩს უმასპინძლებს.

ძალიან ცოტა დააკლდა, რომ სერბული მეგა ბიმაქსი გოგა ბითაძის წინამძღოლობით ახალგაზრდული ევროლიგის ჩემპიონი გამხდარიყო. ევროლიგის მთავარი მატჩის, ფენერბაჰჩე-პანათინაიკოსის საფინალო შეხვედრამდე რამდენიმე საათით ადრე, სტამბოლის „სენან ერდემის“ დარბაზში ახალგაზრდული ევროლიგის ჩემპიონი გამოვლინდა.

ფინალში უბრწყინვალესი სტატისტიკა აჩვენა 211 სანტიმეტრი სიმაღლის გოგა ბითაძემ, რომელთანაც ახლოსაც ვერავინ მივიდა, თუმცა მეგა ბიმაქსმა ფრანგულ პარიზთან 58:65 წააგო და ტიტულს ვერ შესწვდა.

17 ქულა, 20 მოხსნა (10 მეტოქის ფარზე), 3 პასი, 5 დაფარება და მარგი ქმედების უმაღლესი კოეფიციენტი (38) – ასეთია ბითაძის მონაგარი. ქართველი ცენტრი მოედნის ყველა მონაკვეთში დომინირებდა, თუმცა გამარჯვება უფრო გუნდურად მოთამაშე პარიზელებს დარჩათ. შეხვედრის დასრულებამდე 8 წუთით ადრე სერბული კლუბი 50:46 უგებდა ფრანგებს თუმცა დასკვნით წუთებში პარიზელებმა უძლიერესად ითამაშეს და ნამატჩევს ევროლიგის თასიც დამსახურებულად აღმართეს.

ბითაძემ მოედანზე 37 წუთი გაატარა და 13-დან 7 ორქულიანი და 5-დან 3 საჯარიმო ჩააგდო.

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

შედეგები

20 მაისი

ფეხბურთი

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ხიხონი-ბეტისი 2:2
დეპორტივო-ლას პალმასი 3:0
ლეგანესი-ალავესი 1:1
სევილია-ოსასუნა 5:0

სატურნირო ცხრილი:

1.რეალი	37	28	6	3	104-41	90
2.ბარსელონა	37	27	6	4	112-35	87
3.ატლეტიკო	37	22	9	6	67-26	75
4.სევილია	38	21	9	8	69-49	72
5.ვილიარეალი	37	18	10	9	53-32	64
6.ბილბაო	37	19	6	12	52-40	63
7.სოსიედადი	37	19	6	12	57-51	63
8.ესპანიოლი	38	15	11	12	49-50	56
9.ალავესი	38	14	13	11	41-43	55
10.ეიბარი	37	15	9	13	54-47	54
11.მალაგა	37	12	10	15	49-53	46
12.ვალენსია	37	13	7	17	55-62	46
13.სელტა	37	13	5	19	51-67	44
14.ლას პალმასი	38	10	9	19	53-74	39
15.ბეტისი	38	10	9	19	41-64	39
16.დეპორტივო	38	8	12	18	43-61	36
17.ლეგანესი	38	8	11	19	36-55	35
18.ხიხონი	38	7	10	21	42-72	31
19.ოსასუნა	38	4	10	24	40-94	22
20.გრანადა	38	4	8	26	30-82	20

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

რეუსი-სევილია ბ 2:1
ხირონა-ალკორკონი 0:0
ტენერიფე-ლევანტე 0:0
მურსია-უესკა 3:1
მალიორკა-ალმერია 1:0
კადისი-კორდობა 1:1
ოვიედო-სარაგოსა 0:0

გერმანია. ბუნდესლიგა

აინტრახტი-ლაიფციგი 2:2
ბაიერნი-ფრაიბურგი 4:1
დორტმუნდი-ვერდერი 4:3
გლადბახი-დარმშტადი 2:2
ჰამბურგი-ვოლფსბურგი 2:1
ჰერტა-ლევერკუზენი 2:6
ინგოლშტადი-შალკე 1:1
კიოლნი-მაინცი 2:0
ჰოფენჰაიმი-აუგსბურგი 0:0

სატურნირო ცხრილი:

1.ბაიერნი	34	25	7	2	89-22	82
2.ლაიფციგი	34	20	7	7	66-39	67
3.დორტმუნდი	34	18	10	6	72-40	64
4.ჰოფენჰაიმი	34	16	14	4	64-37	62
5.კიოლნი	34	12	13	9	51-42	49
6.ჰერტა	34	15	4	15	43-47	49
7.ფრაიბურგი	34	14	6	14	42-60	48
8.ვერდერი	34	13	6	15	61-64	45
9.გლადბახი	34	12	9	13	45-49	45
10.შალკე	34	11	10	13	45-40	43
11.აინტრახტი	34	11	9	14	36-43	42
12.ლევერკუზენი	34	11	8	15	53-55	41
13.აუგსბურგი	34	9	11	14	35-51	38
14.ჰამბურგი	34	10	8	16	33-61	38
15.მაინცი	34	10	7	17	44-55	37
16.ვოლფსბურგი	34	10	7	17	34-52	37
17.ინგოლშტადი	34	8	8	18	36-57	32
18.დარმშტადი	34	7	4	23	28-63	25

იტალია. სერია ა

კიევო-რომა 3:5
ნაპოლი-ფიორენტინა 4:1

სატურნირო ცხრილი:

1.იუვენტუსი	36	27	4	5	72-26	85
2.რომა	37	27	3	7	87-36	84
3.ნაპოლი	37	25	8	4	90-37	83
4.ლაციო	36	21	7	8	72-45	70
5.ატალანტა	36	19	9	8	60-41	66
6.მილანი	36	17	9	10	53-43	60
7.ფიორენტინა	37	16	11	10	61-55	59
8.ინტერი	36	17	5	14	64-46	56
9.ტორინო	36	12	14	10	65-61	50
10.სამპდორია	36	12	11	13	46-50	47
11.უდინეზე	36	12	8	16	44-50	44
12.კალიარი	36	13	5	18	51-69	44
13.სასუოლო	36	12	7	17	49-56	43
14.კიევო	37	12	7	18	43-60	43
15.ბოლონია	36	11	8	17	39-53	41
16.ჯენოა	36	8	9	19	34-60	33
17.ემპოლი	36	8	8	20	28-58	32
18.კროტონე	36	8	7	21	31-54	31
19.პალერმო	36	5	8	23	31-74	23
20.პესკარა	36	2	8	26	33-79	14

საფრანგეთი. 1 ლიგა

ანჟე-მონპელიე 2:0
გენგამი-მეცი 1:0
ლილი-ნანტი 3:0
ლიონი-ნიცა 3:3
ლორიანი-ბორდო 1:1
მარსელი-ბასტია 1:0
ნანსი-სტ.ეტიენი 3:1
პსჟ-კაენი 1:1
რენი-მონაკო 2:3
ტულუზა-დიჟონი 0:0

სატურნირო ცხრილი:

1.მონაკო	38	30	5	3	107-31	95
2.პსჟ	38	27	6	5	83-27	87
3.ნიცა	38	22	12	4	63-36	78
4.ლიონი	38	21	4	13	77-48	67
5.მარსელი	38	17	11	10	57-41	62
6.ბორდო	38	15	14	9	53-43	59
7.ნანტი	38	14	9	15	40-54	51
8.სტ.ეტიენი	38	12	14	12	41-42	50
9.რენი	38	12	14	12	36-42	50
10.გენგამი	38	14	8	16	46-53	50
11.ლილი	38	13	7	18	40-47	46
12.ანჟე	38	13	7	18	40-49	46
13.ტულუზა	38	10	14	14	37-41	44
14.მეცი	38	11	10	17	39-72	43
15.მონპელი	38	10	9	19	48-66	39
16.დიჟონი	38	8	13	17	46-58	37
17.კაენი	38	10	7	21	36-65	37
18.ლორიანი	38	10	6	22	44-70	36
19.ნანსი	38	9	8	21	29-52	35
20.ბასტია	38	8	10	20	29-54	34

ჰოლანდია. ეროვნული დივიზიონი

პლეი ოფი

უტრეხტი-ჰერენვენი 2:1
ალკმაარი-გრონინგენი 4:1

პორტუგალია. პრიმეირა ლიგა

ნასიონალი-სეტუბალი 1:2
ფერეირა-მარიტიმუ 0:0
რიუ ავე-ბელენენსეში 2:0
გიმარაეში-ფეირენშე 0:1
ბოავიშტა-ბენფიკა 2:2

შოტლანდია. პრემიერლიგა

პლეი აუტი

ჰამილტონი-დანდი 4:0
ინვერნესი-მოზერველი 3:2
კილმანროკი-როსი 1:2

შვეიცარია. სუპერლიგა

ლოზანა-თუნი 0:0
ლუგანო-ვადუცი 2:1

ავსტრია. ბუნდესლიგა

რიდი-სტ.პოლენი 1:1
ვოლფსბერგერი-აუსტრია 2:1
მატერსბურგი-ალტახი 1:0
ზალცბურგი-ადმირა 2:0

ბელგია. 1 დივიზიონი

პლეი ოფი

ლოკერენი-გენკი 1:1
მუსკრონი-კორტრაიკი 0:1
რუზელარე-ეუპენი 3:2

თურქეთი. სუპერლიგა

რიზე-გაზიანთები 2:0
ქაისერი-ადანა 1:1
ანთალია-ბურსა 2:1
ბეშიქთაში-ქაშიმფაშა 4:1

ჩეხეთი. სინოტ ლიგა

ბოჰემიანსი 1905-კარვინა 2:0
იიჰლავა-პრჟიბრჟამი 1:1
დუკლა-ზლინი 1:0
ბრნო-პლზენი 0:1
ბოლესლავი-სლავი 1:2
სლოვაკო-ლიბერეცი 0:1
სპარტა-ჰრადეც კრალოვე 3:2
იაბლონეცი-ტეპლიცე 0:0

პოლონეთი. ექსტრაკლასა

პლეი ოფი

ვისლა-პოგონი 4:0

პლეი აუტი

პლოცკი-ზაგლებიე 1:2
პიასტი-ლენჩნა 2:1

უკრაინა. პლეი აუტი

ზვეზდა-ვოლინი 2:0
სტალი-დნიპრო 0:1

დანია. სუპერლიგა

პლეი ოფი

ნორდსიელანდი-მიდტიულანდი 2:3
ოდენსე-რანდერსი 1:1

პლეი აუტი

ესბიერგი-ჰორსენსი 1:1

შვედეთი. ალსვენსკა

ესტერსუნდი-კალმარი 2:1
ჰალმშტადი-იორებრო 0:0

ნორვეგია. ელიტსერია

რუსენბორგი-ლილესტრიომი 1:1
სონგდალი-ბრანი 2:3

რა არის ატოპიური დერმატიტი

ეკა ირემაშვილი

ატოპიური დერმატიტი არის ქავილით მიმდინარე კანის ქრონიკული ანთებითი დაავადება, რომელიც ძირითადად ადრეულ ასაკში ვითარდება და გართულებებით ხასიათდება.

რა ასაკში ვითარდება ატოპიური დერმატიტი, როგორია ატოპიური დერმატიტით ავადობა, რა იწვევს ამ დაავადებასა და გამწვავებებს და როგორ ხდება დიაგნოსტიკა და მკურნალობა? – ამ თემებზე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი, პედიატრი ნანი ყავლაშვილი საუბრობს.

ნანი ყავლაშვილი

ნანი ყავლაშვილი:

– ატოპიური დერმატიტი არის ქავილით მიმდინარე კანის ქრონიკული ანთებითი დაავადება, რომელიც ძირითადად ვითარდება ადრეულ ბავშვთა ასაკში და ხასიათდება გამწვავებებით. მას აქვს ძალიან ბევრი სინონიმი. შეიძლება ის უფრო ნაცნობი იყოს საზოგადოებისთვის, როგორც ატოპიური ეგზემა, ჩვილთა ეგზემა, ალერგიული დერმატიტი, ალერგიული დიათეზი. სიტყვა ეგზემა ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს დერმატიტს ანუ კანის ანთებას. ატოპიური დერმატიტი-ეგზემა ბავშვებში დერმატიტის ყველაზე ხშირი ფორმაა.

– რა ასაკში ვლინდება ატოპიური დერმატიტი?

– ძირითადად ვლინდება 5 წლამდე ასაკში. 6 თვემდე ვლინდება პაციენტთა 45 პროცენტში, პირველი წლის განმავლობაში – პაციენტთა 60 პროცენტში, 5 წლამდე – პაციენტთა 85 პროცენტში, 5 წლის ზევით შეიძლება გამოვლინდეს მხოლოდ 15 პროცენტში.

ატოპიური დერმატიტი, პრაქტიკულად, სიკვდილიანობას არ იწვევს, მაგრამ მაღალია ავადობის სიხშირე – 10-15 პროცენტი – და ცხოვრების ხარისხის ცვლილება.

– რით გამოიხატება ცხოვრების ხარისხის ცვლილება?

– ეს არის საერთაშორისო კვლევა, რომელიც ჩატარდა ბევრ განვითარებულ ქვეყანაში და მასში მონაწილეობდნენ არა მარტო ბავშვები, არამედ მოზრდილი ადამიანებიც ატოპიური დერმატიტით. იმ პაციენტებს, რომლებსაც აქვთ ატოპიური დერმატიტი, ნაკლებად ჰყავთ მეგობრები. ისინი თავს არიდებენ ყოველდღიურ აქტივობას, ყოველთვის განიცდიან და ელოდებიან გამწვავებას, პერიოდულად აქვთ დეპრესია, ერიდებიან გამწვავების დროს საზოგადოებაში ყოფნას, ბავშვებში ხშირია სკოლის გაცდენის შემთხვევები.

– ერთხელ თუ დაემართა ბავშვს ეს დაავადება, მთელი ცხოვრება ექნება?

– 10 წლისთვის ბავშვთა ორ მესამედს უკუგანუვითარდება ეს მოვლენები ანუ გამოიზრდება ატოპიური ეგზემიდან, 15 წლისათვის 75 პროცენტში ვითარდება დაავადების რემისია, მაგრამ ერთი პლუსი ის არის, რომ ბავშვი გამოიზრდება ატოპიური დერმატიტიდან, თუმცა ეს ბავშვები არიან სხვა ალერგიული დაავადების განვითარების რისკის ქვეშ. ჩვენ ამას ვეძახით ატოპიურ-ალერგიულ მარშს. ადრეულ ასაკში, დაახლოებით 3 წლამდე, კვებითი ალერგია და ატოპიური დერმატიტი უფრო ხშირად გვხვდება, 3 წლის შემდეგ კლებულობს, მაგრამ, სამაგიეროდ, იმატებს ალერგიული რინიტისა და ასთმის შემთხვევები. ასე რომ, თუ ბავშვს ჰქონდა ატოპიური დერმატიტი, მშობელი ყოველთვის ყურადღებით უნდა იყოს. თუ ბავშვს აქვს რინიტის, ხველის, სუნთქვის გაძნელების გამოვლინება, ბავშვი იმყოფება სხვა ალერგიული დაავადებების განვითარების რისკის ქვეშ.

– რამ შეიძლება გამოიწვიოს ატოპიური დერმატიტი?

– გენეტიკური წინასწარგანწყობის როლი ძალიან დიდია. ამ დროს დარღვეულია კანის ბარიერული ფუნქცია. კანი იცავს ჩვენს ორგანიზმს, რომ არ მოხვდეს სხვადასხვა ალერგენი თუ მიკრობი და გამაღიზიანებელი ფაქტორი. ერთ-ერთი ცილის დეფიციტია, რომელიც არღვევს კანში ცხიმის წარმოქმნას. თუ კანში გვაქვს ცხიმის დეფიციტი, მისი ბარიერული ფუნქცია ირღვევა, კანიდან წყალი იკარგება და კანი შრება. კანის უჯრედებს შორის იზრდება ფართობი.

– რატომ არის მნიშვნელოვანი კანის ბარიერული ფუნქცია?

– თუ კანი ნორმალურ მდგომარეობაშია, ის წყალს შეიცავს, ცხიმი ნორმალურად გამოიყოფა, ყველა ალერგენი, რომლებიც მას მოხვდება, აისხლიტება, მაგრამ, თუ მშრალი კანი გვაქვს, ალერგენი კარგად აღწევს კანში და იწვევს ანთებისა და ატოპიური დერმატიტის განვითარებას.

– როგორ ვლინდება ატოპიური დერმატიტი?

– ყველაზე მნიშვნელოვანია ქავილი და სიმშრალე, სხვადასხვა ტიპის გამონაყარი, მორეციდივე მიმდინარეობა – ახასიათებს გამწვავებებისა და ნიშნების უკუგანვითარების მონაცვლეობა, უხშირესად ჩვილობის ასაკში იწყება, ძალიან მნიშვნელოვანია ალერგიის ოჯახური ისტორია, ასევე უმნიშვნელოვანესია კანის დაზიანების სპეციფიკური მდებარეობა ანუ ასაკობრივად სხვადასხვა უბნის დაზიანება ხდება. ჩვილებში ძირითადად ზიანდება სახე, თავის თმიანი ნაწილი, კიდურების გამშლელი ზედაპირები, მაშინ როდესაც ცოტა უფრო მოზრდილ ბავშვებში 2-3 წლის შემდგომ ასაკში ძირითადად ზიანდება ყურისა და კისრის უკანა ზედაპირი, მაჯისა და კოჭის მიდამო, კიდურების მომხრელი ზედაპირები. მოზრდილებსა და მოზარდებში კი ძირითადად ზიანდება კისერი, კიდურები, მტევანი და ტერფები.

ატოპიური დერმატიტის დროს კანი მშრალია წითელი გამონაყარით, თითქოს ფუფხები აქვს ბავშვს – ეს არის კლასიკურად ჩვილებისთვის დამახასიათებელი ატოპიური დერმატიტი. ამ დროს შეიძლება იყოს კანის დახეთქვა, ძლიერი ქავილი. თავზე შესაძლებელია ე.წ. ქერქების არსებობა. ეს საკმაოდ ხშირია ბავშვებში, განსაკუთრებით – ხელოვნურ კვებაზე მყოფებში. ესეც ატოპიური დერმატიტის ერთ-ერთი გამოვლინებაა.

ატოპიური დერმატიტის დროს ასევე დამახასიათებელია კანის ნაოჭი თვალის ქვემოთ, რასაც უწოდებენ თვალის ქვედა ნაოჭს ან ალერგიულ სათვალეს. შეიძლება, თვალი იყოს ჩაშავებული ან თვალის ირგვლივ კანი და ზედმეტი ნაოჭი შეიძლება გამოჩნდეს. ესეც ალერგიის ერთ-ერთი გამოვლინებაა. მშობლებს ყოველთვის აშინებთ ეს სიმპტომი, თუმცა უნდა იცოდნენ, რომ ეს, უბრალოდ, ალერგიის ერთ-ერთი გამოვლინებაა და საშიშროებას არ წარმოადგენს.

შეიძლება, ხელისა და ფეხისგულებზე მოხდეს სურათის გაძლიერება – დახაზულობის უფრო მკვეთრად გამოხატვა და ამ დროს კანი მშრალია ხოლმე.

– რა ფაქტორებმა შეიძლება გამოიწვიოს ატოპიური დერმატიტის გაძლიერება?

– ეს არის ძირითადად სხვადასხვა ალერგენი: ადრეულ ასაკში წამყვანია კვებითი ალერგენები – რძე, კვერცხი, თევზი, თხილეული, ფერადი ბოსტნეული, შოკოლადი და კაკაო. ძალიან ხშირად ატოპიური დერმატიტი ემართებათ ხელოვნურ კვებაზე მყოფ ბავშვებს, იმიტომ რომ ის ბავშვი, რომელიც ხელოვნურ კვებაზეა, იღებს ძროხის რძეზე დამზადებულ საკვებს, შესაბამისად, ძროხის რძის ცილა ბავშვისთვის უცხო ცილაა და მის საპასუხოდ ვითარდება ალერგია. გარდა კვებითი ალერგიისა, შეიძლება, ეს იყოს კონტაქტური ალერგენები – შალისა და ხელოვნური ქსოვილის ტანსაცმელი, ლითონის საგნები, სხვადასხვა სამკაული; ასევე ინჰალაციური ალერგენები, რომელსაც ბავშვი შეისუნთქავს. ყველაზე გავრცელებული და ძნელად საბრძოლველია ოთახის მტვრის ტკიპა ანუ როგორი სუფთა და დალაგებულიც არ უნდა იყოს ბინა, თუ იქ არის მტვერი, იმ მტვერში ბუდობს ტკიპა. ის არის ძალიან ალერგიული და იწვევს არა მხოლოდ ატოპიურ დერმატიტს, არამედ ერთ-ერთი პრობლემაა ასთმით დაავადებულ პაციენტებშიც, ამიტომ მაქსიმალურად უნდა მოვარიდოთ ბავშვი მტვრიან ადგილს. ასევე შეიძლება იყოს მცენარეული მტვერი, ცხოველის ბეწვი – კატა, ძაღლი, რომელიც სახლში შეიძლება იყოს. ტარაკანის კანის გარსმა შეიძლება ალერგია გამოიწვიოს, ასევე – ობის სოკოებმა.

გარდა ამისა, შეიძლება იყოს მთელი რიგი გამაღიზიანებლები, რომლებმაც შეიძლება ხელი შეუწყოს ატოპიური დერმატიტის განვითარებას – ეს არის საპნები. ყველა საპონს აქვს გარკვეული დანამატი, თვითონ საპონი, მასში არსებული დანამატები, შამპუნი, სააბაზანო ქაფი, შხაპის გელი – ყველაფერმა შეიძლება გამოიწვიოს ატოპიური დერმატიტი, ასევე კლიმატურმა ფაქტორებმა – ტემპერატურისა და ტენიანობის ცვალებადობამ, ზედმეტმა ოფლიანობამ, კანის ინფექციამ, თამბაქოს კვამლის ზემოქმედებამ, სტრესმა.

– როგორ ხდება დაავადების დიაგნოსტირება?

– დაავადების დიაგნოსტირება ხდება ძირითადად კლინიკურ ნიშნებზე დაფუძნებით. იმდენად კლასიკური გამოვლინება აქვს და იმდენად ტიპურია კლინიკური ნიშნები, რომ განსაკუთრებული კვლევების ჩატარება არ გვესაჭიროება. მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში, თუ, ვთქვათ, მკურნალობა არ არის ეფექტური ან რაღაც სხვა დაავადებაზე ვფიქრობთ და დიფერენცირება გართულებულია, ამ შემთხვევაში შესაძლებელია საჭირო გახდეს კანის ალერგიული ტესტების ჩატარება, სისხლში სპეციფიკური იმუნოგლობულინი ე-ს განსაზღვრა, ზოგჯერ შეიძლება კანის ბიოფსიის ჩატარება იყოს საჭირო, თუმცა ეს კვლევები, ძირითადად, განსაკუთრებით, სინჯები, გამწვავების პერიოდში არასდროს ტარდება, ვინაიდან შესაძლებელია, თავისთავად გამოიწვიოს დერმატიტის გამწვავება.

– რას ნიშნავს ალერგიული სინჯი?

– ამ დროს კანში გარედან შეგვყავს ალერგენი და ვამოწმებთ, როგორ რეაგირებს მასზე კანი – არის თუ არა ბავშვი ალერგიული ამა თუ იმ ალერგენის მიმართ.

ᲙᲠᲘᲡᲢᲝᲤᲘᲚᲘ



1. დასვენების დღე; 2. ასო „ტ“-ს სახელწოდება; 3. ერთად მიმავალ ცხენოსანთა ჯგუფი; 4. ზაფხულის თვე; 5. რომელიმე დაწესებულების თანამშრომელთა მთელი შემადგენლობა; 6. შორეული წარსულის რაიმე გადმონაშთი; 7. აქილევსის ...; 8. იგივეა, რაც ცთომილი; 9. ჰერას ქურუმი ქალი; 10. მამაკაცის სასიმღერო ხმა; 11. თეთრი თხევადი საკვები; 12. სითბოს მუდმივობის დროს მიმდინარე ფიზიკური პროცესის შესაბამისი გრაფიკი; 13. ძველრუსული ოქროს ფული; 14. ცეცხლის ღვთაება ინდუიზმში; 15. ზოდიაქოს ნიშანი; 16. ბატონი (ინგლისურად); 17. იუპიტერი ძველ ქართულად; 18. კენძაბურო ... (მწერალი); 19. მცენარეული შხამი; 20. ინგლისელი ფიზიკოსი და ქიმიკოსი (1731-1810); 21. დიდი ფრინველის ნარნარი ფრენა; 22. იგივეა, რაც ბელღარი; 23. მხარე დასავლეთ საქართველოში; 24. შეგირდი, ..., ოსტატი; 25. კულტის მსახური წარმართებში; 26. ძველებური პატრუქიანი თოფი; 27. ავადმყოფობის შესუსტება ან გაქრობა; 28. კავშირი (გრამატ.); 29. სკანდინავიელთა უმაღლესი ღვთაება; 30. პუერეული მცენარე; 31. ედემი.

ნინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხიდების პასუხები:

ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ Ა

შვეულად: 1. წუღა; 2. ბანჯო; 3. აჭარა; 4. „სქური“; 5. ოლანდი; 6. ზაკოპანე; 8. ტაიკონავტი; 10. გინეკოლოგი; 11. მარგალიტი; 14. შაგალი; 15. ყაბახი; 16. „სამბა“.

თარაზულად: 1. წურბელა; 4. სქოლიოზი; 7. ღვინიო; 9. განგი; 12. „მინდია“; 13. ჰილეა; 14. შანიძე; 17. ხახული; 18. პროკლამაცია; 19. სინდიყი; 20. ღალატი.

ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ Ბ

შვეულად: 1. ჰიმენე; 2. გრინგო; 3. ქურხული; 4. „დიადორა“; 5. ტარაბუა; 7. მეჯლისი; 11. „ლიონი“; 12. პიარნუ; 13. „ფილიპსი“; 14. კორპუსი; 15. „მაკაბი“; 17. უზნაძე; 19. რადა.

თარაზულად: 5. ტაპიორი; 6. გალუაზი; 8. გაჯი; 9. დურდო; 10. „ბოლერო“; 11. ლიდა; 13. ფიტოფაგი; 14. კლოდი; 16. პუარო; 18. მზისა; 20. სარდელი; 21. ბეიძინი.

ᲙᲐᲚᲔᲘᲓᲝᲡᲙᲝᲞᲘ

ბრიტანელმა მსოფლიოში ყველაზე ცხარე წიწაკა გამოიყვანა



უელსელმა მამაკაცმა მოახერხა, მსოფლიოში ყველაზე ცხარე წიწაკა გამოეყვანა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა ავრცელებს.

53 წლის მაიკ სმიტი სხვადასხვა მცენარისა და ბოსტნეულის გამოყვანით არის დაკავებული. აღსანიშნავია, რომ მის მიერ შექმნილი ჩილი „ეშმაკის სუნთქვა“ სიცხარით ბევრად აღემატება ამჟამინდელ რეკორდსმენს, რომელიც ამერიკის სამხრეთ კაროლინის შტატშია გამოყვანილი. ბრიტანელის მიერ გამოყვანილი წიწაკები ერთი მეტრი სიმაღლის ხეზე იზრდება, რომელიც ასევეა წარდგენილი ჯილდოზე „წლის მცენარე“.

თავად ბრიტანელმა წიწაკის მცირე ნაწილი გასინჯა.

– პირის წვა არ მთავრდებოდა და ათი წამის შემდეგ იძულებული გავხდი, გადმომეფურთხებინა, – განაცხადა მაიკ სმიტმა.

მეცნიერების აზრით, ამ წიწაკის შეჭმის მსურველი, შესაძლოა, ანაფილაქტიკური შოკისგან დაიღუპოს.

სმიტმა გინესის რეკორდების წიგნს განცხადებით მიმართა, რათა მისი მიღწევა დაამტკიცონ. აღსანიშნავია, რომ „ეშმაკის სუნთქვის“ კაპსაცინის ზეთის ერთი წვეთის შემადგენლობის აღმოჩენა 2,48 მილიონ ლიტრ წყალშია შესაძლებელი. სამხრეთკაროლინელი რეკორდსმენის ანალოგიური შედეგი 1,5 მილიონია.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ᲐᲡᲢᲠᲝᲞᲠᲝᲒᲜᲝᲖᲘ

22 მაისისათვის

ᲪᲔᲠᲫᲘ – კეთილისმყოფელი იქნება კონტაქტი სახელმწიფო მოხელეებთან. დღის პირველ ნახევარში მცირედი გაუგებრობაა მოსალოდნელი. **ᲯᲣᲠᲝ** – ჩანაფიქრს სულ იოლად განახორციელებთ. მატერიალური მდგომარეობა საგრძნობლად გიუმჯობესდებათ. **ᲗᲧᲣᲞᲔᲑᲘ** – კომერციულ ოპერაციებში გიმართლებთ. საყიდლებზე წასასვლელად ნამდვილად შესაფერისი დღეა. **ᲙᲘᲠᲩᲮᲘᲑᲘ** – სწორი კვება დღეს ძალზე მნიშვნელოვანია. ალკოჰოლის ჭარბად მიღება დაუშვებელია. **ᲚᲝᲛᲘ** – ფინანსურ პრობლემებს მარტივად მოაგვარებთ. სინდისის ხმას ყური უგდეთ. **ᲥᲐᲚᲬᲘᲚᲘ** – დაუფიქრებლად ნურაფერს იტყვით. ერიდეთ გარშემომყოფების გაღიზიანებას. **ᲡᲐᲡᲜᲝᲠᲘ** – ხელმძღვანელობასთან ურთიერთობა სასურველი არ არის. თავმდაბლად იმუშავეთ. **ᲦᲠᲘᲐᲜᲥᲐᲚᲘ** – სასიცოცხლო ძალები გემატებათ. რეპუტაციას გაუფრთხილდით. **ᲛᲣᲨᲘᲚᲓᲝᲡᲐᲜᲘ** – ცდუნებას ნუ აჰყვებით, თორემ იმედი გაგიცრუვდებათ. რეალობას თვალი გაუსწორეთ. **ᲗᲮᲘᲡ ᲠᲥᲐ** – სამსახურში პრობლემები იჩენს თავს. ნებისმიერ სიტუაციაში სიმშვიდე შეინარჩუნეთ და ცივი გონებით იმოქმედეთ. **ᲛᲔᲠᲬᲧᲣᲚᲘ** – მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს დღეს ნუ მიიღებთ. საღამოს არასასურველ სტუმარს ელოდეთ. **ᲗᲔᲗᲠᲔᲖᲔᲑᲘ** – ყოველმხრივ კეთილისმყოფელი დღეა. პლანეტები გმფარველობენ. თავდაჯერებული ხართ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

რატი წითელაძე კულტურის სამინისტროს წინააღმდეგ

ახალგაზრდა რეჟისორი რატი წითელაძე ფართო საზოგადოებამ „ცეკვავენ ვარსკვლავებიდან“ გაიცნო. სპორტსმენმა რატიმ რეჟისურის შესწავლა გადაწყვიტა და არჩევანი უცხოეთზე გაკეთა.

მის მიერ გადაღებული ფილმი „დედა“ ათეულობით საერთაშორისო ფესტივალის გამარჯვებულია. ამჯერად რატი გახდა ერთადერთი ქართველი რეჟისორი, რომლის პროექტიც კანის საერთაშორისო კინოფესტივალზე მოხვდა.

ასეთი წარმატების მიუხედავად, რეჟისორის თქმით, კულტურის სამინისტროდან არანაირი ყურადღება მის პროექტებს არ ექცევა.

რატი წითელაძე:

– წარმოუდგენელია – წელს 2 ფილმის პროექტს წარვადგენთ კანის 70-ე საერთაშორისო კინოფესტივალზე. „ცარიელი სახლის“ პიჩინგი 25 მაისს გაიმართება, დოკუმენტური „17 მაისი“ კი 100-ზე მეტ საერთაშორისო დოკუმენტურიდან 6 საუკეთესოთა შორის შეარჩიეს და ფილმს მსოფლიოს ყველაზე მნიშვნელოვანი კინოინდუსტრიის წარმომადგენლების წინაშე თანაპროდიუსერ და სცენარის ავტორ ნინო ვარსიმაშვილთან ერთად წარვადგენ.

მიუხედავად იმისა, რომ 2 პროექტი გვაქვს კანზე, კულტურის სამინისტრომ სცენარის ავტორისა და პროდიუსერისთვის სასტუმროს ხარჯების დასაფარი თანხაც კი ვერ გამონახა, კინოცენტრმა კი მხოლოდ ბილეთის ნაწილის საფასურის დაფარვა შეძლო.

მეტი ყურადღება ქართულ კინოს!

ქუთაისში მწერალთა სახლის ადგილას სასტუმროს აშენებენ

ქუთაისში მდებარე მწერალთა სახლს შარშან ზაფხულში ხანძარი გაუჩნდა. ხანძრის გამო შენობა ამორტიზებულია და აღდგენას აღარ ექვემდებარება.

უკვე გადაწყვეტილია, რომ მწერალთა სახლის ნაცვლად ამ ტერიტორიაზე ქუთაისში სასტუმრო აშენდება.

ქუთაისის მერმა შოთა მურღულიამ გავრცელებული ინფორმაცია ადგილობრივ პრესას დაუდასტურა:

– მოვიძიეთ ინვესტორი და ჩვენი პირობებით გაგვაქვს აუქციონზე. კერძოდ, იქ არსებული უნიკალური ბაღი უნდა შენარჩუნდეს, მწერლებისა და ხელოვანი ადამიანებისთვის კი შეიქმნას გარემონტებული ფართი, თავისი დარბაზებით, რომ იქ შეხვედრები ჩატარდეს. პარალელურად კი აშენდება სასტუმრო, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანი იქნება ჩვენი ქალაქისთვის.

„აეროსმიტი“ ჭამოს ხალხმა?!“

ლეგენდარული ჯგუფის კონცერტი 2 საათით გვიან დაიწყო



შეკვეთილში „ბლექ სი არენას“ მორიგი საკონცერტო სეზონი გაიხსნა. პირველი სტუმარი ლეგენდარული როკჯგუფი „აეროსმიტი“ იყო, რომელმაც ევროტურის ფარგლებში საქართველოში კონცერტი გამართა.

ხელოვანები ჩვენს ქვეყანას ისრაელიდან ეწვივნენ.

ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ჯგუფის კონცერტს ათასობით მსმენელი დაესწრო. მიუხედავად იმისა, რომ კონცერტი დაგეგმილზე თითქმის 2 საათით გვიან დაიწყო, გულშემატკივრებს პრეტენზიები არ გამოუთქვამთ და დიდი მოთმინებით უცდიდნენ ჯგუფის წევრების სცენაზე გამოჩენას. „აეროსმიტის“ სოლისტი სტივ ტაილერი შეკრებილ საზოგადოებას ქართულად მიესალმა.

კონცერტი საათ-ნახევარს გაგრძელდა. ახალ სიმღერებთან ერთად, სტივ ტაილერმა ცნობილი ძველი ჰიტებიც შეასრულა. მასთან ერთად „ბლექ სი არენაზე“ შეკრებილი მსმენელიც მღეროდა.

კონცერტზე უამრავმა ცნობილმა სახემ მოიყარა თავი, მათ შორის იყვნენ მომღერლები, მსახიობები, პროდიუსერები, ტელეწამყვანები... „აეროსმიტის“ კონცერტს რამდენიმე მინისტრიც დაესწრო, მათ შორის კულტურის მინისტრი მიხეილ გიორგაძე, ეკონომიკის მინისტრი გიორგი გახარია და განათლების მინისტრი ალექსანდრე ჯეჯელავა. მთლიანობაში, საქართველოში გამართულ კონცერტზე 10.000 ადამიანი იმყოფებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ გადაღების ზომები გამკაცრებული იყო და ჟურნალისტებიც შეზღუდული რაოდენობით ესწრებოდნენ კონცერტს, ჯგუფის ოფიციალურმა გვერდმა რამდენიმე პირდაპირი ჩართვა განახორციელა საქართველოში გამართული კონცერტიდან, ღონისძიების დასასრულს კი ქართველ მსმენელს მადლობა გადაუხადა. ჩანაწერი როკჯგუფის ფეისბუქის ოფიციალურ გვერდზე გამოქვეყნდა:

– დიდი მადლობა ბათუმის „ლურჯ არმიას“, საქართველოსა და „ბლექ სი არენას“ არაჩვეულებრივ თანამშრომლებს. შემდეგი გაჩერება „ოლიმპისკი“ – მოსკოვი, რუსეთი, 23 მაისს. იქ შევხვდებით!

„აეროსმიტი“ ათეული წლებია, მსოფლიო მუსიკალურ ბაზარზე ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი ჯგუფია. მისი ალბომები მილიონობით ტირაჟით იყიდება. არაერთი საერთაშორისო მუსიკალური ჯილდოს მფლობელი ჯგუფი თავის ერთგულ მსმენელს სიახლეებით ყოველთვის ანებივრებს.

* * *

კონცერტს კრიტიკის გარეშე არ ჩაუვლია. ის ყოფილმა დეპუტატმა კობა სუბელიანმა გააკრიტიკა:

– აეროსმიტი ჭამოს ხალხმა ამ გაუფასურებული ლარის, უმუშევრობისა და გაძვირებული ფასების პირობებში?

სადა ხართ ის ხალხი, სტინგსა და ბოჩელს რომ აპროტესტებდით, ხალხს შიაო, რომ გაჰყვიროდით?

გააძღეს ხალხი ალბათ... ბოდიში ამ სიტყვის გამოყენებისთვის.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯალეიდოსკოპი

ბრიტანელმა ქალმა თავის მძინარე შეყვარებულს მაკიაჟი გაუკეთა



ბრიტანეთის ქალაქ კასლფორდის მცხოვრებმა თავის მეგობარ მძინარე მამაკაცს მაკიაჟი და მანიკიური გაუკეთა. ამის თაობაზე ქალმა სოციალურ ქსელ ფეისბუქში საკუთარ გვერდზე დაწერა.

23 წლის ნატალი უივერმა სახეზე კოსმეტიკა თავის შეყვარებულ სტეფან ჰოლს გაუკეთა. ასევე გოგონამ მამაკაცისთვის ქალის სახის მიცემის პროცესი ვიდეოზე გადაიღო და საკუთარ გვერდზე განათავსა. როდესაც მან თავისი შეყვარებული გააღვიძა, მამაკაცმა დაწებებული ხელოვნური წარბების გამო თვალი ძლივს გაახილა.

ციხიდან შეცდომით გათავისუფლებული ამერიკელი ისევ გაათავისუფლეს და იქვე დააკავეს

ამერიკელი პატიმარი, რომელიც 2008 წელს შეცდომით გაათავისუფლეს ციხიდან და რომელიც ექვსი წლის შემდეგ საპატიმროში დააბრუნეს, სასამართლოს გადაწყვეტილებიდან, რომელმაც მისი ხელმეორედ განთავისუფლების გადაწყვეტილება გამოიტანა, მეორე დღეს ისევ დააკავეს.

მიმდინარე წლის 16 მაისს სასამართლომ დაადგინა, პატიმრობიდან გაეთავისუფლებინათ კოლორადოს მცხოვრები რენე ლიმა-მარინა, რომელიც 2000 წლიდან სასჯელს იხდიდა ორი ვიდეომაღაზიის ძარცვაში მონაწილეობისთვის.

მას 98 წლით პატიმრობა ჰქონდა მისჯილი ადამიანებზე თავდასხმის, ნაგებობაში შეღწევის, შეიარაღებული ძარცვის და სასიკვდილო იარაღის დანაშაულებრივი მიზნით გამოყენების ბრალდებით.

მოსამართლემ ჩათვალა, რომ პატიმარი გამოსწორდა, როდესაც ის 2008 წელს თავისუფლებაზე პირველად აღმოჩნდა. ციხეში საბუთებში დაშვებული შეცდომის გამო ჩათვალეს, რომ ლიმა-მარინას პატიმრობის ვადა 16 წლამდე იყო შემცირებული და მას შეეძლო ვადაზე ადრე განთავისუფლების უფლებით ესარგებლა. ადვოკატის რჩევით ლიმა-მარინამ გადაწყვიტა, განაჩენი არ გაესაჩივრებინა და რვა წლის შემდეგ პატიმრობიდან განთავისუფლდა.

პატიმრობიდან განთავისუფლებულმა მამაკაცმა დაიწყო მუშაობა, აითვისა მინის მჭრელის პროფესია, დაოჯახდა, ეყოლა შვილები და სახლიც კი იყიდა. ასე გრძელდებოდა 2014 წლამდე, როდესაც ყოფილმა პროკურორმა გადაწყვიტა საპატიმროს ბაზაში მოეძებნა პატიმარი და გაიგო, რომ ის პატიმრობიდან განთავისუფლებული იყო, მალე ლიმა-მარინა დააპატიმრეს და ციხეში დააბრუნეს.

– იმის მოთხოვნა, რომ ლიმა-მარინამ მთელი დარჩენილი პატიმრობის ვადა მოიხადოს, მთელი ამ წლების შემდეგ, უსაშინლესი სასჯელი იქნებოდა, – განაცხადა მოსამართლემ.

განთავისუფლების მეორე დღეს მისი სახელი საინფორმაციო სისტემით შეამოწმეს და გამოირკვა, რომ მას ეძებდა საიმიგრაციო და საბაჟო პოლიცია. აღმოჩნდა, რომ 2000 წელს ლიმა-მარინასთან მიმართებაში მისი სამშობლოში დეპორტაციის დადგენილება იყო მიღებული. ის მშობლებთან ერთად, ორი წლის ასაკში კუბიდან გამოიქცა. ასე რომ, მამაკაცი ახლა უკვე ქვეყნიდან გაძევების მოლოდინშია.

ვაშინგტონში კაპიტოლიუმთან იხვების გადასასვლელი გაკეთდა



აშშ-ის დედაქალაქ ვაშინგტონში კაპიტოლიუმის მახლობლად მოეწყო სპეციალური პანდუსი იხვებისთვის.

ნაგებობა დააპროექტა და ააგო ფედერალურმა სააგენტომ „კაპიტოლიუმის არქიტექტორი“, რომელიც კაპიტოლიუმის კომპლექსის კეთილმოწყობასა და ექსპლუატაციაზეა პასუხისმგებელი, და რომელიც თანამშრომლობს არაკომერციულ ორგანიზაციასთან, რომლის საქმიანობაც ვაშინგტონში გარეული ცხოველების გადარჩენას უკავშირდება. პანდუსი იმისთვის გახდა საჭირო, რომ ფრინველებს დაეხმაროს გადალახოს წინაღობა, რომელიც კაპიტოლიუმის წინ მდებარე გუბურას აქვს შემოვლებული.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, გუბურაში იხვების ოთხი ოჯახი ბინადრობს. ცხოველთა დაცვის ორგანიზაციის ხელმძღვანელის ენი ლიუისის თქმით, პანდუსების არ არსებობას შესაძლოა იხვის ჭუკების დაღუპვა გამოეწვია.

ფინჯანმა კაპუჩინომ იტალიელს თავის მოკვლა გადააფიქრებინა

იტალიის ქალაქ ტურინის მცხოვრები 22 საათის განმავლობაში თავის მოკვლით იმუქრებოდა და ამის გაკეთება მხოლოდ მას შემდეგ გადაიფიქრა, როდესაც პოლიციელებმა მისი ბინის კართან ფინჯნით კაპუჩინო მიუტანეს.

52 წლის ფერდინანდო ურცინი მრავალსართულიანი სახლის მეხუთე სართულზე მდებარე საკუთარ ბინაში ჩაიკეტა. მთელი ღამე ის აივნიდან გამვლელებსა და იქ თავმოყრილ რეპორტიორებს ავიჯს, ჭურჭელს, ნაგავს, კოღოსგან დამცავ ბადეებს აყრიდა და ბოლოს თევზებიანი აკვარიუმიც კი გადმოაგდო. მამაკაცს, იმავდროულად, პირდაპირი ტრანსლაცია მიჰყავდა ფეისბუქში, მაგრამ ეს ყოველივე იმ წამსვე დასრულდა, როგორც კი შემთხვევის ადგილზე სამართალდამცავები მივიდნენ.

ურცინი, რომელიც, გავრცელებული ინფორმაციით, ბიპოლარული აშლილობით არის დაავადებული, ამტკიცებდა, რომ მას მაფია ემუქრებოდა. გარდა ამისა, მან პოლიციელებს სთხოვა, მისთვის ესროლათ და მოეკლათ, ასევე ამბობდა, რომ თავის ჩამოხრჩობა უნდოდა. ზოგიერთი მონაცემით, ტურინელი პისტოლეტით იყო შეიარაღებული.

მამაკაცთან მიმდინარე მოლაპარაკებებს შედეგი არ მოჰქონდა, სანამ სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელი მასთან ფინჯანი კაპუჩინოთი არ მივიდა და არ დაითანხმა, რომ მისთვის კარი გაეღო.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ურცინი ფსიქიატრიული მკურნალობის კურსს გადიოდა, თუმცა რამდენიმე თვის წინ წამლების მიღება შეწყვიტა. ასევე ცნობილია, რომ მამაკაცს აქვს სუვენირებისა და პროდუქტების მაღაზია. ორი წლის წინ ის მეუღლეს გაშორდა. ასევე მას ბანკის მცირე ვალი აქვს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

პროგრამა

ოთხშაბათი
22 მაისი

07.00 დოკ/ფ "ენტონი ბურდეინი" წინასწარი შეკვეთის გარეშე" **08.00** "ჯიმი ნიუტრონი-გენიოსი ბიჭუნა" **09.00** "მოამბე დილას" **10.00** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" **12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **12.30** "ტელემანი" **12.45** "კაცების დრო" **13.50** "გურმანია" **14.20** "წიგნების თარო" **15.00, 02.45** "C სტუდია" **16.15** "ეკონომეტრი" **16.30** "ჰოპლა ჩვენ ვცოცხლობთ" **17.00, 03.45** "რეალური სივრცე" **18.00** "მოამბე" **18.30** "ხანმოკლეXX საუკუნე" **20.40** "სპორტის დაფა" **21.00** ტ/სერ. "**ველვეტი**" **22.00** "მთავარი" - თამარ ჩიქოვანთან ერთად **23.00** "ეროვნული ლიგის მიმოხილვა" **23.20** მხ/ფ "**შენთვის რაღაც მაქვს სათქმელი**" (შ.რემპლინგი) **01.00** მხ/ფ "**სწრაფები და ომაგები**"

08.00 დოკ/ფ "ლანსის ლუვრის გალერეა" **09.00** დოკ/ფ "მტკნარი წყლის ჯუნგლები" **10.00** დოკ/ფ "სიგარეტის გადაგდება" **11.00** დოკ/ფ "ალექსანდრე დიდი მაკედონელი" **12.00, 22.00** ტ/სერ. "**კედრის ჯარე**" **13.00** ტ/სერ. "**ჩინეთო ვეტრინე**" **14.00** დოკ/ფ "ჟან-პოლ გოტიე" **15.00, 17.00, 20.30** "ბრიფინგის დრო" **16.00** დოკ/ფ "გიიკების რევანში" **17.30** "თავისუფალი ტრიბუნა" **18.30 ქალათბურთი.** საქართველოს სუპერ ლიგა - ფინალური სერია **21.00** "არგუმენტების დრო" **23.00** "მოამბე" (3 ენაზე) **00.00** "ნამდვილი დრო" **00.30** ტ/სერ. "**კატერინა და მისი ქალიშვილები**"

05.50, 14.40 სერ. "**ელიფი**" **07.30, 08.20, 09.20** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.20** ქრონიკა **10.05** სერ. "**პატარძალი**" **11.20** სერ. "**ფიცი**" **12.30** იმედის დღე **17.35** სერ. "**სტამბოლის ორი სახე**" **18.45, 19.03** სერ. "**მოპარული ცხოვრება**" **20.55** სერ. "**ნამსხვრევები**" **22.30** მხ/ფ "**ჩაშვები**" **01.00** მხ/ფ "**ბირთვი**" **03.35** მხ/ფ "**გაისანით ფოკერები**"

06.00 სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **06.45** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**მფარველი ანგელოზი**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ყველაზე ლამაზი**" **15.30** სერ. "**ინდური საგა**" **16.55** სერ. "**დაკარგული ნლები**" **18.30** სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **19.57** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **22.00** X-ფაქტორი

08.00 ან/სერ. ავატარი **09.00, 13.00** სერ. "**შავი კოდი**" **11.00, 17.00** სერ. "**კრიმინალური აზროვნება**" **15.00** სერ. "**ანტიმაფია**" **19.00** სერ. "**გაბორტებული**" **21.00** სერ. "**ანგარიშსწორება**" **22.30** მხ/ფ "**25-ე საათი**" **01.00** მხ/ფ "**გოლი**"

06.15 ღვთის სახლი **06.35** პატერიკი-ბალავარის სწავლება ღვთის დიდების შესახებ **06.45** ქართული ალბომი **07.20** ჩვენი საგანძური **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10** პატრიარქის ქადაგება **10.25** საკვირაო სახარების განმარტება **10.35** დ/ფ "კარბელაშვილები-მადლმოსილი ოჯახი" **11.10** კვირიაკე **12.00** საეკლესიო კალენდარი **12.10** მხ/ფ "**ვინ შეკაზმავს ცხენს**" **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** ბავშვები მუზეუმში **15.05** ქართული ან/ფ **15.25** დ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" **15.50** სპექტაკლი "**დარაბებს მიღმა გაზაფხულია**" **17.25** დ/ფ "ღირსი მამა შიო მღვიმელი" **18.10** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.10** სიახლენი **19.20** მიწათმოქმედი "მარხვა და შაქარი" **19.40** საქართველო ევროპულ ოჯახში **19.25** თვენი "რაუდენ პირველმოწამე" **20.40** ძილი ნებისა "ტომი და ჯერი" **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.20** პატერიკი-ბალავარის მიერ იოდასაფის დარიგება **21.30** საეკლესიო აღმშენებლობა **22.15** პორტრეტები ერთსულოვნების გალერეადან "ანტონ II" **22.40** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.45** ღვთის სახლი "სიმონ კანანელის სახელობის ტაძარი" **00.30** სათავეებთან "გიორგი ლეონიძე" **01.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

მაესტრო **7.30** ანიმაცია "კბილის ფერიები" **8.15** დოკ/ფ "კაცი,ქალი,ბუნება" **9.00** სერ. "**ორი გული**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 2.30** სერ. "**სიყვარულის იმპერია**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30, 18.50, 20.55** სერ. "**ძარცვა**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **23.00** სერ. "**ესკობარი**" **0.00** "კონტაქტი" **0.30** სერ. "**პაემანი**" **2.00** "კონტაქტი"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

22 მაისისთვის

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

- აშშ დოლარი — 2.4104
- ევრო — 2.6895
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.1326
- 100 რუსული რუბლი — 4.2182

ამინდის პროგნოზი 22 მაისისთვის

18 მაისიდან

თეოდორ დრაიზერი
ამერიკული ტრაგედია
I ნაწილი

ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი



25 მაისიდან

თეოდორ დრაიზერი
ამერიკული ტრაგედია
II ნაწილი

ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი

ამერიკელმა კანფეტის შესაფუთი მასალისგან კაბა შექმნა

ამერიკის პენსილვანიის შტატის მცხოვრებმა გოგონამ კანფეტის შესაფუთი 10 ათასი ცალი მასალისგან კაბა შექმნა. მან კაბის სურათები სოციალურ ქსელ ფეისბუქში საკუთარ გვერდზე განათავსა.

გავრცელებული ინფორმაციით, მხატვარმა ემილი სეილჰამერმა თავისი მეუღლე მისი საყვარელი Starburst-ის კანფეტების წყალობით გაიცნო, რომლითაც ის მას გაუმასპინძლდა. ქალმა შეყვარებულს სთხოვა, რომ კანფეტის შესაფუთი ქაღალდები მისთვის დაეტოვებინა. გარკვეული დროის შემდეგ მას მთელი ტომარა სხვადასხვა ფერის ქაღალდი დაუგროვდა.

სეილჰამერის თქმით, კაბის შექმნა მძიმე პროცესი არ ყოფილა, თუმცა დიდი დრო დასჭირდა. ყოველ შესაფუთ ქაღალდს ის უთოთი ასწორებდა და ელასტიკური ძაფით ამაგრებდა. ასევე მას რამდენჯერმე მოუხდა კაბის დიზაინის შეცვლა იმის გამო, რომ კომპანია მის მიერ გამოყენებული რამდენიმე ფერის კანფეტისა და მისი შესაფუთი ქაღალდის გამოშვებას წყვეტდა.

დი კაპრიო დანიელ სუპერმოდელს დაშორდა

ამერიკელი მსახიობი ლეონარდო დი კაპრიო სუპერმოდელ ნინა აგდალს დაშორდა, რომელსაც ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ხვდებოდა.

როგორც ინფორმირებული წყარო იტყობინება, 42 წლის მსახიობი სერიოზული ურთიერთობისა და 25 წლის მოდელთან ოჯახის შექმნისთვის მზად არ აღმოჩნდა. აღსანიშნავია, რომ ყოფილი შეყვარებულები ერთმანეთს მეგობრებად დაშორდნენ.

აღსანიშნავია, რომ დი კაპრიო და აგდალი ერთად საზოგადოებაში პირველად 2016 წლის გაზაფხულზე გამოჩნდნენ. ეს ნიუ იორკის ერთ-ერთ ღამის კლუბში მოხდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

იუმორი

პოლიციელი მანქანის მძღოლს ეუბნება:
– აქ მანქანის გაჩერება არ შეიძლება!
– რატომ?
– ეს მთავრობის სახლია. აქ მინისტრები არიან.
– არა უშავს, კარგი სიგნალიზაცია მიყენია.

●●●

სიძესთან სტუმრად მყოფი სიდედრი მეორე დილით შესჩივლებს:
– მთელი ღამე კოღოები მკბენდნენ და მთელი ლოგინი სისხლიანია.
– ჰოო, ეტყობა, შენ სისხლზე გული აერიათ.

●●●

სახლში დაბრუნებული კაცი თავის შეუხედავ ცოლთან საყვარელს შეუსწრებს და გაოცებული ეუბნება:
– კარგი, მე ქმარი ვარ და ვალდებული ვარ და შენ ვინ გაიძულებს, შე უბედურო, შენა?

●●●

სახლში მისული ქმარი საწოლ ოთახში ცოლის გვერდით უცხო მამაკაცს დაინახავს და ეკითხება:
– ვინ ხარ და აქ რას აკეთებ?
– პარაშუტისტი ვარ და შემთხვევით აქ დავეშვი.
– ჰოო, დაუჯერებელი არაფერია. ამას წინათ ერთი კაცი ჩემ ტუალეტში ნავთობს ეძებდა და...

●●●

სიდედრი სიძეს ეჩხუბება და ეუბნება:
– ნეტა ერთი გამაგებინა, რისთვის უყვარხარ ჩემ გოგოს?
– გაჩვენო?!

●●●

ქორწილის პირველ ღამეს ქმარი ახლად შერთულ ცოლს ეუბნება:
– ჩემო სიცოცხლევ, მოდი, ჩამეხუტე რა!
– არა.
– ჩემო სიხარულო, მოდი მომეფერე.
– არა.
– მაშინ, მოდი, ლოგინში მაინც ჩავწვეთ.
– არა.
– კი მაგრამ, შე შობელ-ძაღლო, სამივე ფეხზე როდემდე უნდა ვიდგეთ?!

●●●

დილით სიდედრი სიძეს ეუბნება:
– საწოლში მკვდარი კობრა ჩამიგდე?
– მოკვდა, საცოდავი?

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.



23 მაისიდან

ლაშა იმედაშვილი
სამი მკვლელობა ძველ თბილისში
პატრიარქის ზაფხული

ქართული დეტექტივი ტომი 13

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

ემოციური დღე ალიანც არენაზე
ბავარიული კლუბი 5 წევრს დაემშვიდობა

გერმანიის ბუნდესლიგის ბოლო ტურის მატჩში ბაიერნსა და ფრაიბურგს შორის „ალიანც არენის“ ერთი შეხედვაც საკმარისი იყო, მიმხვდარიყავი, რომ განსაკუთრებული დღე იყო!

როდესაც გუნდები მოედანზე გამოვიდნენ, მთელი სტადიონი თეთრ-წითელ ფერებში მოირთო. სამხრეთის ტრიბუნაზე დიდი წარწერა იწონებდა თავს: ჩვენი ქალაქის ბავშვიდან ჩვენი კლუბის ლეგენდამდე. 75.000 გულშემატკივარი 5 ბავარიელს ემშვიდობებოდა, რომელთა შორისაც კაპიტანი ფილიპ ლამი იყო.

სეზონის ბოლო მატჩის დაწყებამდე ემოციური ატმოსფერო სუფევდა. ფილიპ ლამი, ხაბი ალონსო და ტომ შტარკე კარიერას ასრულებდნენ, თავის პოსტებს კი ჰერმან გერლანდი და ექიმი ანდრეას შლუმბერგერი (რეაბილიტაციის განყოფილების ხელმძღვანელი) ტოვებდნენ.

სასტარტო სასტვენამდე ბავარიული კლუბის პრეზიდენტმა ული ჰოინესმა და აღმასრულებელი საბჭოს თავმჯდომარემ კარლ-ჰაინც რუმენიგემ კვინტეტს ყვავილები გადასცეს, ხოლო საბავშვო კლუბის ბავშვებმა საკუთარი ხელით შესრულებული პორტრეტები აჩუქეს. ფილიპ ლამმა, რომელიც თავის შვილთან, იულიანთან, ერთად გამოვიდა, საჩუქრად გოლფის სათამაშო ნაკრები მიიღო. ყვავილები ასევე გადასცეს მატჩის მთავარი მსაჯ იოჰან დრეეს, რომელმაც ასევე ბოლო მატჩი ჩაატარა თავის კარიერაში.

საღამოს საზეიმო განწყობა შემატა სასულიერო ორკესტრმაც. ჩემპიონობის მისალოცად „ალიანც არენაზე“ წარსულში ბავარიის 26 ლეგენდა მივიდა, რომელთა შორის იყვნენ ფრანც ბეკენბაუერი, პაულ ბრაიტნერი, ლოთარ მათეუსი და ოლივერ კანი.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ჯოსვოიდი



თარაზულად: 1. პროტესტანტების მღვდელი; 3. ფრანგი კომპოზიტორი (XIX ს.); 8. მოგრძო გუნდებად შემწვარი შეზავებული ფარში; 9. სამრეწველო რაიონი გერმანიაში; 14. შექსპირის ტრაგედია; 15. ფოტოაპარატი; 17. ... დიასამიძე; 20. ნამდვილად არსებული ნივთი; 22. აზროვნების ორგანო; 23. ხმელეთში ღრმად შეჭრილი ზღვის ვიწრო ყურე ციცაბო, კლდოვანი ნაპირებით; 25. ბილიარდის ჯოხი; 26. თხის ჯოგი; 27. უნდობლობა; 28. იტალიური მუსიკის მცოდნე, მოყვარული; 29. შლამის თევზი; 30. სასწორის თეფში; 31. გეომეტრიული სხეული.

შვეულად: 1. „... ჩვენი არსობისა“; 2. ბუნებრივი საღებავი; 3. ძირითადი, მთავარი აზრი; 4. გაორმაგების აღმნიშვნელი წინსართი; 5. გამარჯვების უპირატესი შანსის მქონე ცხენი დოღში; 6. თეატრის კოლექტივი; 7. ერთგვარი ბრუნი ბალეტში; 10. თავბრუ; 11. დღესასწაული – მასკარადი ღია ცის ქვეშ; 12. ინგლისურ-ფრანგული ზებგერითი სამგზავრო თვითმფრინავი; 13. ცხვრის ჯოგი; 16. მწვადის შესაწვავი თავღია ღუმელი; 18. მსუსხავი ბალახი, მხლადაც გამოსაყენებელი; 19. ბატონო (თურქულად); 21. მოზრდილი მცოხნელი ცხოველი („ქორბუდა“); 24. ხის სატანვარჯიშო იარაღი.

შეადგინა ოლივერ კოხიამ